# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 7 ოქტომბერი 2008 №231 (3455)

ფასი 50 თეთრი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კუპერი იწყებს და ხურავს

## საქართველოს დაცვა საქართველოში მოძებნა



## პოლ კესანი ვა-ბანკზე წავიდა

### თურმე მთელი ზესტაფონი დასდევდა და სცემდა





# გადაჯაჭვულნი

## იტალიელების პატარა მხსნელი: ქართველი ზლატან იბრაჰიმოვიჩი

### მაია ჯიჯავა რომიდან: რას წერენ იტალიაში ლევან მჭედლიძეზე



ბაჩო კორინთელის ფოტო

# გაიღვიძეთ, პრესკონფერენციაა
## კუპერმა კაშია და ელიავა დაიმატა

საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცმა ჰექტორ რაულ კუპერმა 11 და 15 ოქტომბრის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის შემადგენლობა რომ გამოაცხადა, ახალი ამბავი არ არის, თუმც ამ შემადგენლობაში იძულებითი ცვლილებების შეტანა მოუხდა.

მოგეხსენებათ, იტალიური „მილანის" მცველმა კახა კალაძემ შვეიცარიულ „ციურიხთან" უეფას თასის მატჩში ტრავმა მიიღო და კვიპროს-ბულგარეთთან მისი თამაში გამოირიცხა. გუშინწინ კი ყაზანის „რუბინის" მარცხენაფლანგელი დავით კვირკველიაც დაშავდა. მას ნალჩიკის „სპარტაკთან" მატჩის 68-ე წუთზე კოჭში ჩაარტყეს და გამოსაცვლელი გახდა. ასე რომ, კვირკველიაც ვეღარ დაეხმარება ჩვენს ნაკრებს. ამას მალხაზ ასათიანის გამოუძახებლობაც რომ დავამატოთ, აშკარაა, რომ დაცვის ხაზში პრობლემებია. კუპერმაც მათ ნაცვლად თბილისის „დინამოს" მცველებს, ზაალ ელიავასა და გურამ კაშიას უხმო.

ცნობისთვის: კაშიას ეროვნულ ნაკრებში არასოდეს უთამაშია.

საქართველოს ეროვნული ნაკრები „ბასაში" დღეს დაიწყებს შეკრებას, სრული შემადგენლობა კი კუპერს ორ დღეში უნდა ჰყავდეს.

კუპერის განახლებული სია ასეთია:

***მეკარეები:*** *გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), გრიგოლ ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია);*

***მცველები:*** *ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგლისი), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), მათე ღვინიანიძე (მიუნხენ 1860, გერმანია), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია), გიორგი შაშიაშვილი (შტურმი, ავსტრია), ზაალ ელიავა (დინამო), გურამ კაშია (დინამო);*

***ნახევარმცველები:*** *ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), ზურაბ მენთეშაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია), ლევან ყენია (შალკე, გერმანია), ლევან ხმალაძე (დინამო), დავით ოდიკაძე (დინამო), გიორგი მერებაშვილი (დინამო), ლუკა რაზმაძე (ვიტ ჯორჯია);*

***თავდამსხმელები:*** *ალექსანდრე იაშვილი (კარლსრუე, გერმანია), დავით სირაძე (ნალჩიკი, რუსეთი), რატი ალექსიძე (ლოკომოტივი), ლევან მჭედლიძე (პალერმო, იტალია), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი).*

დღეს, დილის 10 საათზე, საგურამოში პირველ ვარჯიშს ჩაატარებს კუპერი, მეორე ვარჯიში კი საღამოს იგეგმება. არგენტინელს ყველა წვრთნა დახურული ექნება ერთის გარდა — 10 ოქტომბერს, კვიპროსთან მატჩის წინა დღეს დილის 10 საათზე „ეროვნულზე" დაიწყება ვარჯიში და ჟურნალისტებისთვის 10 წუთი იქნება ღია. მანამდე კი, 9.30 საათზე კუპერი პრესკონფერენციას გამართავს.

**ნუგზარ ლოლაძე**

# კუნძულამდე აზერბაიჯანია



ბაჩო კორინთელის ფოტო

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ნოემბერში კვიპროსზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ელის.

ცხადია, გუნდის მომზადებისთვის აუცილებელია ამხანაგური შეხვედრები და ზაურ სვანაძე დარჩენილ დროს მაქსიმალურად იყენებს.

გეხსომებათ, რამდენიმე თვის წინ ჩვენები თბილისსა და გორში რუმინელ თანატოლებს გაეჯიბრნენ — თბილისურ შეხვედრაში 2:0 იმარჯვეს, გორში კი 0:2 წააგეს. აგვისტოში ესტონეთთან გამართეს ორი სპარინგი (0:0, 2:0).

ახლა კი, 8 და 10 ოქტომბერს აზერბაიჯანში მასპინძლებს გაეჯიბრებიან ამხანაგურად.

ამ მატჩებისთვის სვანაძემ შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

***მეკარეები:*** *გიორგი მაკარიძე (დინამო), ამირან კოტრიკაძე (გაგრა);*

***მცველები:*** *გურამ მინდორაშვილი (დინამო), გიორგი გეთიაშვილი (დინამო), გიორგი კაჭკაჭიშვილი (დინამო), ილია გამრეკლიძე (ვიტ ჯორჯია), გიორგი სარაჯიშვილი (თბილისი), ბადრი ტეტუნაშვილი (გაგრა);*

***ნახევარმცველები:*** *ირაკლი ხუციძე (ამერი), თორნიკე თარხნიშვილი (სპარტაკი), თემურ შონია (ოლიმპიკი), ნიკოლოზ ჯიშკარიანი (დინამო), ლევან კაკუბავა (დინამო), ვაჟა ნემსაძე (დინამო), გიორგი თექთუმანიძე (სპარტაკი);*

***თავდამსხმელები:*** *მიხეილ როსტიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ზვიად ქანთარია (დინამო), მიხეილ ხოკერაშვილი (გაგრა).*

**ნუგზარ ლოლაძე**

# იტალიამ 23 ჩამოწერა

იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ ის ფეხბურთელები დაასახელა, რომელთაც ბულგარეთ-ჩერნოგორიასთან მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მოამზადებს.

***მეკარეები:*** *ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), მარკო ამელია (პალერმო), მორგან დე სანქტისი (გალათასარაი, თურქეთი);*

***მცველები:*** *დანიელე ბონერა (მილანი), ფაბიო კანავარო (რეალი, ესპანეთი), ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი), ანდრეა დოსენა (ლივერპული, ინგლისი), ალესანდრო გამბერინი (ფიორენტინა), ფაბიანო სანტაკროჩე (ნაპოლი), ჯანლუკა ძამბროტა (მილანი);*

***ნახევარმცველები:*** *ალბერტო აკვილანი (რომა), მაურო კამორანეზი (იუვენტუსი), დანიელე დე როსი (რომა), ჯენარო გატუზო (მილანი), კრისტიან მაჯო (ნაპოლი), რიკარდო მონტოლივო (ფიორენტინა), ანტონიო ნოჩერინო (პალერმო), სიმონე პეროტა (რომა);*

***თავდამსხმელები:*** *ანტონიო დი ნატალე (უდინეზე), ალბერტო ჯილარდინო (ფიორენტინა), სიმონე პეპე (უდინეზე), ჯუზეპე როსი (ვილიარეალი, ესპანეთი), ლუკა ტონი (ბაიერნი, გერმანია).*

იტალიელები ბულგარეთს 11 ოქტომბერს სოფიაში ესტუმრებიან, ჩერნოგორიას კი 15 ოქტომბერს ლეჩეში უმასპინძლებენ.

**კახა ზალამბერიძე**



### გერმანია
II ბუნდესლიგა
მაინცი 5:0 ვეჰენი

### დანია
სუპერლიგა
ვეილე 0:3 კოპენჰაგენი

### თურქეთი
სუპერლიგა
ბეშიქთაში 2:1 ჰაჯეთეფე

### საფრანგეთი
II დივიზიონი
სტრასბური 5:0 ნიმი

### ნორვეგია
ტიპელიგა
მოლდე 3:2 ბრანი

### პორტუგალია
სუპერლიგა
გიმარაეში 0:0 ბრაგა

### ფინეთი
ვაიკაუსლიგა
კტპ 0:2 როვანიემი

### ჩეხეთი
გამბრინუსლიგა
სპარტა 1:4 სლავია
ბანიკი 0:0 ლიბერეცი

### იტალია
სერია B
ემპოლი 2:1 ლივორნო
სერია C1/A
მონცა 2:2 პრო სესტო

### შვეიცარია
სუპერლიგა
ლუცერნი 0:3 ციურიხი
ჩელენჯლიგა
თუნი 4:1 გოსაუ

### ინგლისი
კონფერენსლიგა
ებსფლიტი 0:1 ჰისტონი
ლიგის თასი
ტრანმერი 1:0 ქრიუ

### ირლანდია
I დივიზიონი
უექსფორდი — ლიმერიკი
*გადაიდო*

### შვედეთი
ალსვენსკა
მალმიო 3:1 იორებრო
ნორჩიოპინგი 0:1 გაის
გიოტებორგი 2:0 ჰამარბი
სუპერეტა
იონჩოპინგი 0:1 ვასბი

### ბულგარეთი
ვიშა ლიგა
ლიტექსი 1:0 ჩერნო მორე
ლოკომოტივი (მ) 0:1 ლევსკი

### რუმინეთი
I ლიგა
ბრაშოვი 0:0 ვასლუი
უნირეა 0:1 პოლიტექნიკა

### ჩილე
აპერტურა
ოსორნო 1:2 სერენა
კონსეპსიონი 3:5 უნ. კატოლიკა

### ამხანაგური მატჩები
SETANTA CUP
დერი 3:0 ლინფილდი
გლენტორანი 1:0 სტ პატრიკსი

# იტალიელების პატარა მხსნელი: ქართველი ზლატან იბრაჰიმოვიჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაია ჯიჯავა რომიდან



## 18 წლის წინ ლამაზ საქართველოში გაჩნდა პატარა ლევანი

ვერ წარმოიდგენთ, რამხელა სიხარული და სიამაყე განვიცადე, როცა გუშინ დილით იტალიურ სპორტულ ჟურნალ-გაზეთებს გადავხედე და თითოეული მათგანის პირველი გვერდი ლევან მჭედლიძის ფოტოებით აჭრელებული დამხვდა. მაშინვე ყველა სტატია საგულდაგულოდ წავიკითხე და შემდეგ „გაძეტა დელო სპორტის" არქივშიც მოვიძიე ჩვენებურზე მასალები.

ჩემდა გასაკვირად, აღმოვაჩინე, რომ იტალიური პრესა ლევანს საფუძვლიანად იცნობს და მის შესახებ სტატიებსაც ოპერატიულად აქვეყნებს. არც ის არის საიდუმლო, რომ 18 წლის ქართველი აპენინებზე დიდ სიმპათიას იწვევს, ეს ფაქტი კი მხოლოდ გუშინწინ „იუვენტუსის" კარში გატანილი გოლით სულაც არ არის გამოწვეული.

აი, რას წერდა იტალიური პრესა ლევანზე ჯერ კიდევ 2007 წელს: „1990 წლის 24 მარტს, როდესაც სრულიად იტალია „სკუადრა აძურასთან" ერთად მსოფლიოს ჩემპიონატს სულმოუთქმელად ელოდა, ათასობით კილომეტრის მოშორებით პატარა, მაგრამ ლამაზ საქართველოში ერთი ჩვეულებრივი ქართველი ქალი ამქვეყნად ფეხბურთის მომავალ ვარსკვლავს აჩენდა. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ 17 წლის შემდეგ პატარა ლევანის კარიერა იტალიურ ფეხბურთთან საბედისწეროდ იქნებოდა გადაჯაჭვული.

ალბათ სწორედ განგების ამბავია, რომ 2006 წელს უცნობი გორის „დილას" თავდამსხმელი მიუნხენის „ბაიერნს" ცხვირწინ „ასწაპნა" იტალიურმა „ემპოლიმ". ლევანს ჯერ „ემპოლის" ახალგაზრდულ გუნდში ეტორე დონატის მეთაურობით უნდა ეთამაშა, თუმცა ცოტა ხანში ქართველი გენიოსით მთავარი გუნდის თავკაცი ლუიჯი კანი დაინტერესდა და მან ჯერ კიდევ გამოუცდელ თავდამსხმელს, არც მეტი და არც ნაკლები, ქართველი ზლატან იბრაჰიმოვიჩი უწოდა. ასეთი შექებისა და წინასწარმეტყველების მიუხედავად, მუდმივი ტრავმების გამო ლევანს არ მიეცა „ემპოლის" შემადგენლობაში თავის გამოჩენის საშუალება და იტალიაშიც მისდამი ინტერესი ცოტათი შენელდა.

2007 წელს მჭედლიძე საქართველოს ნაკრების იმდროინდელმა თავკაცმა, გერმანელმა კლაუს ტოპმიოლერმა გამოიძახა და ამგვარად, ახალგაზრდა ფეხბურთელის სანაკრებო დებიუტი სწორედ „სკუადრა აძურასთან" შედგა".

აქაური ჟურნალისტების აზრით, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ლევანის კარიერაში ყველა მნიშვნელოვანი მომენტი სწორედ იტალიას უკავშირდება. ამის ნათელ დასტურად კი ის საბედისწერო გოლი გახდა, რომლითაც ჯერ კიდევ გარდატეხის ასაკში მყოფმა „პატარა ლევანმა" (ასე უწოდებს მას აპენინური პრესა) მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები ევროპის ჩემპიონატს მიღმა დარჩენას გადაარჩინა. სწორედ ლევან მჭედლიძის შოტლანდიის ნაკრებთან გატანილმა გოლმა დაასამარა შოტლანდიელების იმედი ევროპის თასის ფინალურ ეტაპზე მოხვედრაზე, რამაც ავტომატურად გზა გაუხსნა რობერტო დონადონის იტალიის ნაკრებს.

ამ დღიდან ლევან მჭედლიძე იტალიას არა მარტო „ემპოლის" ახალგაზრდა ქართველ ზლატან იბრაჰიმოვიჩად, არამედ „სკუადრა აძურას" პატარა მხსნელად მოევლინა.

ბუნებრივია, ეს მოვლენები ყურადღების მიღმა არავის დარჩენია და ქართველით სიცილიური „პალერმოს" სკანდალური პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი დაინტერესდა, რომელმაც „ემპოლის" ლევანის სანაცვლოდ დაახლოებით 1,5 მილიონი ევრო შესთავაზა, თუმცა ამ ხელშეკრულების მიხედვით, „პალერმო" მჭედლიძეს მხოლოდ ინათხოვრებდა. მის საბოლოოდ შესაძენად კი „ემპოლისთვის" 6,2 მილიონი ევრო უნდა გადაეხადა.

არაოფიციალური წყაროებით, იტალიაში ირწმუნებიან, რომ ძამპარინიმ ეს თანხა უკვე გადაიხადა.

სერია A-ს წლევანდელი სეზონი მკვეთრად განსხვავდება წინა სეზონებისგან. ამის მთავარი მიზეზი კი იტალიური გრანდების, „იუვეს", „მილანის" და „რომას" კრიზისია. სწორედ ამიტომ, აპენინური მასმედია განსაკუთრებით ელოდება ხოლმე შაბათ-კვირას ახალი აღმოჩენების გასაკეთებლად.

ამ კვირის უდავო გმირი და აღმოჩენა სწორედ ქართველი ლევან მჭედლიძე გახდა. ის უკვე შევიდა „პალერმოს" ისტორიაში და ამას ვერაფერი წაშლის. 1962 წლის 28 თებერვალს სიცილიელებმა პირველად და უკანასკნელად დაამარცხეს (4:2) „ბებერი ქალბატონი" საკუთარ მოედანზე. ამ ამბიდან ზუსტად 46 წლის შემდეგ ნანატრი გამარჯვება სიცილიელებს „პატარა ლევანმა" მოუტანა.

„გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში „პალერმოს" პრეზიდენტმა სინიორ მაურიციო ძანპარინიმ ქართველი ფეხბურთელი ასე დაახასიათა: „ლევანი არა მარტო ფიზიკურად ძლიერი, არამედ გონიერი ფეხბურთელიცაა. ღრმად მწამს, რომ იგი სულ მალე ევროპულ ფეხბურთში უძლიერესი თავდამსხმელი გახდება. მოხარული ვარ მისი გადმოყვანით. დარწმუნებული ვარ, წინათგრძნობა არ მიღალატებს".

მსგავსი განცხადება გააკეთა „კორიერე დელო სპორტში" სიცილიელების მწვრთნელმა დავიდე ბალარდინიმაც: „ლევანმა ძალიან იყოჩაღა. ის ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა და გამოუცდელია, თუმცა ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ გამოცდილი ვარსკვლავი გახდეს. ძალიან კმაყოფილი ვარ, გუნდში მისნაირი ფეხბურთელი რომ მყავს."

ძამპარინის მჭედლიძემ ასე უპასუხა: „ამ სიტყვებისთვის პრეზიდენტის მადლობელი ვარ. იმედი მაქვს, კიდევ მოვუმატებ. მსურს, მადლობა გადავუხადო მთავარ მწვრთნელსა და თანაგუნდელებს, რომლებიც ადაპტაციაში ძალიან დამეხმარნენ. გატანილი გოლის შემდეგ კი პარტნიორების მოლოცვამაც ძალიან ამაღელვა".

ქართველმა ფეხბურთელმა აპენინური საზოგადოება თავისი უბრალოებითაც მიიპყრო. უცნაურია, მაგრამ ასე დაწერეს: „ის ალბათ მთელ იტალიაში ერთადერთია, რომელმაც გუნდში მისულმა ნომრის არჩევისას არანაირი პრეტენზია არ გამოთქვა და მშვიდად აიღო 99 ნომერი. კითხვაზე, თუ უკავშირდებოდა მისი არჩევანი რაიმე მოვლენას, ღიმილით განაცხადა, რომ არავითარს".



## საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა — I წრე. 5 ტური

# მარგალიტური

## ერთბაშად ამდენი ფრთიანი ფრაზა? ჯერ არ გაგვეგო...

### ახალი ქართული წესი: ბოლო წუთზე პენალტი არ ინიშნება!

ტური იყო, ნუ იტყვით... რა სიმშვიდეც აქამდე გახლდათ, რა ამბებიც წინა ოთხ ტურში არ მოხდა, თითქოს ყველაფერმა, ყველანაირმა ბოლმამ ამ უქმეებზე ამოხეთქა და... აქეთ ფეხბურთელები შემოსწყრნენ ერთმანეთს და საქმე ლამის ცხვირ-პირის დასისხლიანებამდე მივიდა, იქით მწვრთნელმა თქვა პარადოქსული რამ, მსაჯი მასპინძლებს ხომ უნდა დაეხმაროსო. ბოლნისის „სიონის“ თავკაცმა კი სულაც საბჭოეთის პერიოდი და რაიონული პირველობები გაიხსენა, ასეთი მსაჯობა და თამაშების ყიდვა-გაყიდვა მაშინ იყო და მაშინდელი გადმონაშთები დღესაც მრავლადააო...

მოკლედ, რომელი ერთი მატჩიდან დავიწყოთ მეხუთე ტურის ამბების მოყოლა, რომელი ერთი „მარგალიტი“ ვთქვათ?!

ერთი რია-რია იყო „ამერის“ გლდანურ სარბიელზე, სადაც უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა „გაგრამ“ საჩემპიონო ამბიციის მქონე ბოლნისის „სიონს“ უმასპინძლა. დიდი ვერაფერი თამაში გამოვიდა, მაგრამ სამაგიეროდ, მატჩის ბოლოს გინების კორიანტელი დადგა, ყურთასმენა წაიღო. ვნებათაღელვა არბიტრ გიორგი ვადაჭკორიას გადაწყვეტილებას მოჰყვა, როცა მან სულ ბოლო წუთზე „გაგრას“ სასარგებლოდ პენალტი დანიშნა, „სიონის“ გამოცდილი მცველი რევაზ ქემოკლიძე კი გააძევა. ამ დროისთვის ბოლნისელებს 1:0 მიჰყავდათ, ხოლო გიორგი გაბედავას პენალტმა ანგარიში გაათანაბრა. სტუმართა ქომაგები გლდანში გახდნენ დასაკავებლები და წარმოიდგინეთ, მსაჯს ასეთ დროს პენალტი ბოლნისში რომ დაენიშნა, იქ რა მოხდებოდა, ერთმა სულაც ის თქვა, ნაღდი პენალტი რომც ყოფილიყო, მსაჯს ბოლოს წუთზე მაინც არ უნდა დაენიშნაო. მოდი ახლა და, თქვი, ეს კაცი ფეხბურთში ერკვევაო...

საკუთრივ „სიონის“ მწვრთნელ ოთარ კორღალიძეს კი ეჭვი გაუჩნდა, მსაჯი ნაყიდი ხომ არ იყოო. ასეთ განცხადებას, წესითა და რიგით, ფეხბურთის ფედერაციისა და პროფლიგის რეაგირება უნდა მოჰყვეს, მით უმეტეს, წინა სეზონში პროფლიგამ თავის სადისციპლინო კოდექსში გარკვეული ცვლილებები შეიტანა და კლუბების წარმომადგენლებს მსაჯობაზე არაკორექტულად საჯაროდ ლაპარაკი აუკრძალა.

ვნახოთ, ამჯერად რა იქნება...

თბილისიდან ჯერ რუსთავში გადავინაცვლოთ და მერე ისევ დედაქალაქში დავბრუნდეთ.

გინდათ სალაღობო ამბავი? აგერ, ბატონო. რუსთავის „ოლიმპის“ მწვრთნელის თანაშემწემ მალხაზ ლაცაბიძემ „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე თქვა: „მასპინძლები ვართ და ხომ შეიძლება, 1-2 პროცენტით ჩვენს სასარგებლოდ იმსაჯონ?! არ მახსოვს, მსაჯს ჩვენი გუნდის მიმართ სიმპათია ჰქონოდეს“.

ეტყობა, მალხაზ ლაცაბიძე უგოლო ფრის შემდეგაც კი ხუმრობის ხასიათზე იყო და იქვე სტუმართა მწვრთნელს გადაუგდო სიტყვა — „ვიტ ჯორჯია“ შინ თუ სტუმრად ყოველთვის მასპინძელიაო.

ლაცაბიძის ამ „ოხუნჯობების“ შემდეგ ალბათ თქვენც კარგ ხასიათზე დადგებით.

თამაშმა თამაშად არც რუსთავში ივარგა, თუმცა კი პრესკონფერენცია სახალისო ნამდვილად იყო.

„ლოკომოტივის“ წაგების გამო „ვიტ ჯორჯიასთვის“ რუსთაველი ერთი ქულაც საკმარისი გამოდგა ცხრილის კენწეროში წამოსასკუპებლად, „ლოკომოტივი“ კი...

„ლოკომოტივმა“ ფეხბურთის თამაშით რომ ვერ აჯობა ზუგდიდის „მგლებს“, მერე რამდენჯერმე მუშტი-კრივის მცდელობა ჰქონდა, თუმცა სტუმრებიც და მასპინძლებიც მალევე დაშოშმინდნენ და საქმე აღარ გაგრძელებულა, გასარკვევი მოედანზე გაირკვა და მის ფარგლებს აღარ გასცილებია.

არბიტრი ალექსანდრე კრიჭაშვილი იყო, რომელმაც ტურის რეკორდი დაამყარა და შვიდი ფეხბურთელი გააფრთხილა. არადა, ისეთი მატჩი იყო და ფეხბურთელებიც წამდაუწუმ ერთმანეთს კოჭებში ისე გამეტებით ურტყამდნენ, ამ ყვითლებისთვის კრიჭაშვილს ერთიორიც რომ დაემატებინა, არავინ მიედავებოდა.

ისე, ბევრ ქვეყანაში იციან, სადისციპლინო კომიტეტი მისთვის საინტერესო მატჩის ფირს ნახავს და წესის დამრღვევებს დამატებით სასჯელს გამოუტანს ხოლმე. „ლოკომოტივი“ — „მგლების“ შეხვედრისას კი ნამდვილად იყო ისეთი ეპიზოდები, როცა არბიტრს მეტი სიმკაცრეც მართებდა...

„მგლებამდე“ წაუგებელ „ლოკომოტივს“ ისევ თავისმა ფეხბურთელმა წააგებინა — ფეხბურთში მობრუნებულმა ვალტერ გუჩუამ, ვინც თავის დროზე ეროვნულ გუნდშიც თამაშობდა, მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი ბურთი თემურ ფარულავას მკერდზე მოხვდა და... კარში შეგორდა.

ტურის მთავარი მატჩი კი „ზესტაფონში“ შედგა. მასპინძლებმა თბილისის „დინამო“ მიიღეს და მესამე მარცხი აგემეს. არბიტრმა ლაშა სილაგავამ მოედანი ლევან ხმალაძეს დაატოვებინა, თუმცა იმ დროისთვის „ზესტაფონს“ თავისი უკვე გატანილი ჰქონდა — ბექა გოცირიძემ იმარჯვა და როგორც მოგვიანებით გაირკვა, მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა.

პირველი ტაიმის ბოლოსკენ „დინამოს“ მეორე საყრდენი ნახევარმცველიც დააკლდა, ოღონდ ტრავმის გამო — გიორგი ნერგაძე შესაცვლელი გახდა. ერთი სიტყვით, „დინამოს“ „ზესტაფონთან“ შეხვედრისას ბევრი პრობლემა შეექმნა, რითაც, ცხადია, მასპინძლებმა ისარგებლეს.

საინტერესოა ისიც, რომ მსაჯობით უკმაყოფილო დარჩა თბილისელთა გერმანელი თავკაციც, თუმცა კოლეგებისგან განსხვავებით, რაინერ ცობელს მწარე არაფერი უთქვამს.

ერთი მატჩი კი გორში შედგა. წყალწაღებულ აუტსაიდერ „სპარტაკთან“ შეხვედრაში მოგებული „ბორჯომი“ დარჩა. ერთი ავტოგოლი ამ შეხვედრაშიც იყო — სტუმარმა გივი ქარქუზაშვილმა ანგარიში მასპინძლების სასარგებლოდ გაათანაბრა.

მეხუთე ტურის ასეთი სიუჟეტის შემდეგ, წესით და რიგით, საქმე სადისციპლინო კომიტეტსაც უნდა მოემატოს და ვნახოთ, რას და როგორ გაარკვევენ თუ გადაწყვეტენ...

**ბონბა ინასარიძე**



„გაგრა“ — „სიონი“



რაინერ ცობელი



მალხაზ ლაცაბიძე



„ლოკომოტივი“ — „მგლები“

გაგრა 1:1 სიონი
სპარტაკი 1:2 ბორჯომი
ოლიმპი 0:0 ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი 0:1 მგლები
ზესტაფონი 1:0 დინამო
*მესხეთი ისვენებდა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 5:2 | 10 |
| მგლები | 5 | 3 | 0 | 2 | 7:4 | 9 |
| ლოკომოტივი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 9 |
| ზესტაფონი | 4 | 2 | 1 | 1 | 2:1 | 7 |
| გაგრა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| ბორჯომი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | 7 |
| დინამო | 5 | 2 | 0 | 3 | 7:6 | 6 |
| სიონი | 5 | 1 | 3 | 1 | 2:2 | 6 |
| მესხეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| ოლიმპი | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |
| სპარტაკი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | 0 |

**მეექვსე ტური**

18 ოქტომბერი. შაბათი
ბორჯომი – ლოკომოტივი
გაგრა – სპარტაკი
ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი
19 ოქტომბერი. კვირა
მესხეთი – დინამო
მგლები – ოლიმპი
*სიონი ისვენებს*

**ბომბარდირები**

4 - ალექსიძე — *ლოკომოტივი*
3 - ზ. თოდუა — *მგლები*
ვაწაძე — *დინამო*

**სიმბოლური ნაკრები**

გენო ბეჟანიძე — *ბორჯომი*
ბექა გოცირიძე — *ზესტაფონი*
ვალტერ გუჩუა — *მგლები*
ჟილვან ვიეირა — *ზესტაფონი*
ალექსანდრე კოშკაძე — *სიონი*
ვლადიმერ ჯოჯუა — *მგლები*
ლუკა რაზმაძე — *ვიტ ჯორჯია*
ლაშა ჯაფარიძე — *ვიტ ჯორჯია*
სევასტი თოდუა — *ზესტაფონი*
უჩა ლობჟანიძე — *ზესტაფონი*
ზურაბ მამალაძე — *მგლები*


გაჩო კილაძის ფოტო

# ეს სასაცილოა!

## ნიკა ამირეჯიბი: ჩემგან დანდობას ნურავინ ელის

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ხუთი ტური მიილია. პირველ ოთხ ტურში მსაჯების მიმართ სერიოზული პრეტენზიები არ ისმოდა, ბოლო ტურში კი საკმაოდ სკანდალური განცხადებები გააკეთეს ზოგიერთი გუნდის მწვრთნელებმა. ბოლნისის „სიონის" თავკაცმა ოთარ კორღალიძემ ისიც თქვა, ასეთი მსაჯობის შემდეგ რა უნდა ვიფიქრო, თუ არა მსაჯის ყიდვაო.

„გაგრა" — „სიონის" მსაჯთა დამკვირვებელი ნიკა ამირეჯიბი იყო და გუშინ ის რედაქციაში ვიწვიეთ...

— მე არ მაქვს უფლება, ის ვთქვა, რა დავწერე პატაკში. უბრალოდ, შევეხები იმ ბრალდებებს, რაც ნამატჩევს თქვა „სიონის" მთავარმა მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ და პირდაპირ გეტყვით, რომ ეს სასაცილოა. ეს არის მტკნარი სიცრუე! ასეთი სიტყვების შემდეგ ძალიან შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი. მატჩის დამკვირვებელი ვარ და ასე გამოდის, რომ მსაჯებთან შეკრული მეც ვარ. ეს ხომ აბსურდია.

— გამორიცხავთ, რომ საქართველოში კორუმპირებული მსაჯები არსებობენ?

— ამის მტკიცება ძალიან ძნელია, მაგრამ მე ვერ წარმომიდგენია, რომ საქართველოში მსაჯი მოიქრთამოს.

— და საქართველოში მსაჯობის დონეს როგორ შეაფასებთ?

— მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ფეხბურთის დონეს გაცილებით აღემატება მსაჯთა დონე. საქართველოს რამდენიმე ძალიან ძლიერი მსაჯი ჰყავს — ლევან ფანიაშვილი, გიორგი ვადაჭკორია, ლაშა სილაგავა და კიდევ სხვებიც. ისინი ფიფას მსაჯები არიან და ევროპაშიც მსაჯობენ ხოლმე. ერთი პრეტენზია არ ყოფილა იქ მათ მიმართ. ხოლო ჩვენი კლუბები ევროთასებზე რომ გამოდიან და სამარცხვინოდ მარცხდებიან, უკვე რამდენჯერ გვინახავს. ჩვენს საკლუბო ფეხბურთში დიდი პრობლემებია: ფეხბურთელი ფეხბურთელს არ ჰგავს, მწვრთნელი — მწვრთნელს და კლუბის პრეზიდენტი — პრეზიდენტს. ისინი ცდილობენ, ყველაფერი მსაჯებს გადააბრალონ და თავიანთი უსუსურობა ამით დამალონ. რა თქმა უნდა, არიან ისეთი მწვრთნელები და ხელმძღვანელებიც, რომლებზედაც ეს არ ითქმის, თუმც სამწუხაროდ, ასეთი ძალიან ცოტაა.

— მაგრამ მსაჯები ყველგან ცდებიან, მათ შორის, ჩვენს ქვეყანაშიც, თუმცა დასჯილი მსაჯი საქართველოში იშვიათად გვინახავს. მსაჯთა დამკვირვებლები ზოგჯერ მათ ხელს აფარებენ...

— მსაჯის შეცდომაზე თვალი არასოდეს დამიხუჭავს. მსაჯმა უნდა იცოდეს, რომ თუ ცუდად იმსაჯებს, აუცილებლად დაისჯება. წლეულსაც იყო უკვე შემთხვევა, როცა მსაჯობა არ მომეწონა და პატაკში აღვნიშნე კიდეც, ოღონდ ამ მსაჯის სახელსა და გვარს ვერ ვიტყვი. მე ვარ ნეიტრალური კაცი და ქართული ფეხბურთის დასახმარებლად დავბრუნდი. ყოველთვის იმას დავწერ პატაკში, რასაც დავინახავ და ჩემგან დანდობას ნურავინ ელის.

— ისე, საქართველოში მსაჯებს ძალიან მცირე ანაზღაურება აქვთ სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით?

— სამწუხაროდ, ასეა. სომხეთშიც, ყაზახეთშიც და უზბეკეთშიც კი გაცილებით მეტ ანაზღაურებას იღებენ მსაჯები. კიდევ ერთხელ მინდა, ვთქვა, რომ მიუხედავად ამისა, სამსაჯო დონე ჩვენი ფეხბურთის დონეს ბევრად აღემატება.

**ნუკრი ლოლაძე**

# პოლ კესანი რასიზმზე აღარ ჩერდება: ზესტაფონში მცემდნენ! რა 2 000 000 დოლარი?!

**გაბონელი** პოლ კესანის საქმე გრძელდება და ახალი სახე მიიღო.

კერძოდ, როგორი?

მოდით, ჯერ გავიხსენოთ, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი: კესანი ზაფხულში წავიდა გაბონის ნაკრებში მუნდიალის შესარჩევი მატჩების ჩასატარებლად, თუმც იქიდან „ზესტაფონში" აღარ დაბრუნდა.


გაჩო კილაძის ფოტო

აღმოჩნდა, რომ კესანი სექტემბრის დასაწყისში ჩასულა ისრაელის კლუბ „ჰაპოელ კირიათ შმონაში", რომელმაც უკვე კონტრაქტი გაუფორმა ზესტაფონელს! დიახ, ეს უკვე ახალი ამბავია — კონტრაქტის გაფორმება ფეხბურთელთან, რომელიც „ზესტაფონს" ეკუთვნის.

არადა, „ჰაპოელი" ინფორმირებული იყო იმის თაობაზე, რომ კესანს „ზესტაფონთან" ხელშეკრულება 2010 წლის 1 აპრილამდე აქვს. ამის შემდეგ, მგონი, ორი აზრი არ არის, რომ „ჰაპოელს" და გაბონის ნაკრების კაპიტანსაც ფიფასგან სერიოზული სანქცია ელით — ფიფაში ეს საქმე გადაცემულია.

აი, რა წერია გაბონის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე:

„კესანმა ზაფხულში დატოვა საქართველო. მისმა ახალმა კლუბმა „ჰაპოელმა" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან მოთამაშის გათავისუფლების სერთიფიკატი ვერ მიიღო, ასე რომ, პოლს „ჰაპოელში" თამაშის უფლება ჯერ არ აქვს. „ზესტაფონი" 2 მილიონ დოლარს ითხოვს „ჰაპოელისგან". კესანი კი ამბობს, რომ საქართველოში დამბრუნებული არ არის. იქ რასისტულ შეურაცხყოფას მაყენებდნენ, ფიზიკური აგრესიაც მოიტანეს ჩემზეო. კესანი ამბობს, საქართველოში რომ დავბრუნდე, ხელშეუხებლობის რა გარანტია მაქვსო?!"

გაბონელი რომ სინდისში მოიკოჭლებს, ეს აქამდეც ცნობილი იყო, მაგრამ ამჯერად ძალიან გადაუჭარბებია — საინტერესოა, ვინ სცემა კესანს?!

„ჩვენთან სხვა შავკანიანებსაც უთამაშიათ და დღესაც თამაშობენ, თუმც მათგან არასოდეს მოგვისმენია უკმაყოფილება, რასიზმით ვიჩაგრებითო. სანამ აქ იყო, არც კესანს დაუჩივლია ამაზე" — გვითხრა „ზესტაფონის" პრესსამსახურის უფროსმა სერგო ფუტკარაძემ, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით.

და 2 მილიონი დოლარის ამბავი? ფუტკარაძემ გვითხრა, არანაირი ინფორმაცია არ მაქვს, თითქოს ტრანსფერის ფულს ვითხოვდეთ „ჰაპოელისგანო".

ბოლოს კი, მართალია, კესანის ალია-ბალია მოქმედებას არ ეხება, მაგრამ მაინც: გაბონის ნაკრებში ქართული კლუბების კიდევ ორი ფეხბურთელი გამოიძახეს — დინამოელი დიდიე ოვონო, ოლიმპელი ერნესტ აკუასაგა და ჩვენი წერილის „გმირი". „პანტერები" ლიბიას ხვდებიან მუნდიალის შესარჩევ მატჩში.

**ილია ნანოგაშვილი**

**საქართველოს 20 ჩემპიონატი**
**პირველი ლიგა. I წრე. 5 ტური**

# ამერმა და ვიტ ჯორჯიამ თითო-თითო გაცვალეს

**პირველი** ლიგიდან უმაღლესში გადასვლის ერთ-ერთმა მთავარმა ფავორიტმა „ამერმა" აღმოსავლეთ ზონის ერთ-ერთ ლიდერ „ვიტ ჯორჯია 2"-ს შესვენებამდე სამი წუთით ადრე გაუთანაბრა: ირაკლი ხუციძემ ჩააწოდა, ვიტელთა მცველისგან ბურთი ბესიკ ჩიმაკაძეს მიუვიდა და მანაც მშვენივრად დაარტყა.

მანამდე კი „ვიტ ჯორჯია 2" გიორგი ჯანელიძის გოლით იგებდა: ამ ბიჭმა ორი ამერელი მოატყუა, მეკარე ლადო ნადირაშვილი კი მოძრაობაზე დაიჭირა და ისე შეაგდო.

ვიტელებს მე-6 წუთზე მეკარის გამოცვლა დასჭირდათ — არდალიონ მიქაბერიძემ ტრავმა მიიღო.

პირველი ტაიმი და მთლიანად მატჩიც თითქმის თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, „ამერი" მცირე უპირატესობას ფლობდა და მეორე ნახევარში ჩიმაკაძეს კიდევ ორჯერ შეეძლო გატანა.

არც „ვიტ ჯორჯია 2" თაკილობდა მწვავე შეტევებს და ნადირაშვილმაც ორჯერ გადაარჩინა თავისიანები — ზაქრაძეს და ლანიაშვილს მაგარი ბურთები აუღო.

**კახა შალამბერიძე**

**ამერი 1:1 ვიტ ჯორჯია 2**

0:1 ჯანელიძე (15), 1:1 ჩიმაკაძე (42)

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, გ. ჯელაძე, გვაძაბია, კაკაბაძე, ელბაქიძე, ხუციძე, ბენდელიანი (ბუმბეიშვილი 37; გ. ხელაძე 84), ლ. ბოჯგუა, ტიკურიშვილი, ცხოვრებაშვილი, ჩიმაკაძე (ნ. ქებაძე 70)

სათადარიგონი: გვენცაძე; ფუტკარაძე, ჯინიკაშვილი

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

**ვიტ ჯორჯია 2:** ა. მიქაბერიძე (ღურბელეიშვილი 6), ვეკუა, ადამაძე, კასრაძე, გამრეკლიძე, მაისაშვილი (ფურცელაძე 35), როსტიაშვილი (ზაქრაძე 76), ლანიაშვილი, გ. ჯანელიძე, ვასაძე, სვანიძე

სათადარიგონი: ფურცელაძე, იოსელიანი, გოგიაშვილი, ცხოვრებაძე

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

გაფრთხილება: ბოჯგუა (28), გამრეკლიძე (29), კასრაძე (49), ვასაძე (75), ელბაქიძე (90)

მსაჯი: ლ. ფანიაშვილი

6 ოქტომბერი

**დინამო 2 3:0 კახეთი**
**ჩიხურა 5:0 სიონი 2**
**ჰერეთი 1:2 გაგრა 2**
**ვიტ ჯორჯია 2 1:1 ამერი**
**ნორჩი დინამო 1:2 თბილისი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 6 | 4 | 2 | 0 | 11:4 | 14 |
| ჩიხურა | 6 | 3 | 2 | 1 | 16:6 | 11 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 5 | 3 | 2 | 0 | 7:2 | 11 |
| ამერი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:5 | 11 |
| დილა | 5 | 3 | 1 | 1 | 9:3 | 10 |
| თბილისი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | 7 |
| სიონი 2 | 5 | 2 | 1 | 2 | 9:13 | 7 |
| ნორჩი დინამო | 5 | 1 | 1 | 3 | 7:9 | 4 |
| კახეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:10 | 3 |
| გაგრა 2 | 6 | 1 | 0 | 5 | 7:15 | 3 |
| ჰერეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:12 | 3 |

6 ოქტომბერი

**ტორპედო 2008 0:1 კოლხეთი**
**ბათუმი 2:1 გურია**
**მერანი (მ) 0:0 ჭიათურა**
**ზესტაფონი 2 1:1 სამტრედია**
**ხობი 0:2 ბაია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჭიათურა | 6 | 4 | 1 | 1 | 14:4 | 13 |
| ბაია | 5 | 4 | 1 | 0 | 10:1 | 13 |
| კოლხეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 5:1 | 13 |
| სამტრედია | 6 | 3 | 1 | 2 | 7:4 | 10 |
| მერანი (მ) | 4 | 2 | 2 | 0 | 4:0 | 8 |
| ხობი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:4 | 5 |
| გურია | 5 | 1 | 2 | 2 | 4:8 | 5 |
| ზესტაფონი 2 | 5 | 1 | 2 | 2 | 2:6 | 5 |
| ბათუმი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:9 | 5 |
| ტორპედო 2008 | 6 | 0 | 1 | 5 | 0:6 | 1 |
| მეშახტე | 5 | 0 | 1 | 4 | 3:12 | 1 |



ოთარ მარცვალაძე ფორმას იბრუნებს

# ოთარ მარცვალაძე: ჩემი დროც მოვიდა

## დნიპრომ ბერაშვილი დაიტოვა

ოთარ მარცვალაძე მძიმე ტრავმის შემდეგ რომ კიევის „დინამო 2“-ს გოლებით დაუბრუნდა, უკვე ვწერდით. ქართველმა ფორვარდმა მიჯრით სამ მატჩში გაიტანა, თუმც ამჯერად, „ალექსანდრიასთან“ თამაშში ვერ შეაგდო.

მარცვალაძე ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბიდანაც მოიკითხეს, მისი მზადყოფნა აინტერესებდათ, თუმც ექსვიტჯორჯიელი არ მალავს, რომ სათანადო ფორმაში ჯერ ვერ არის...

„ვფიქრობ, „ალექსანდრიასთან“ არ გაგვიმართლა. ვიგებდით, მეტოქემ შემთხვევით გაათანაბრა და 1:1 დამთავრდა. გამიჭირდა თამაში, რადგან „ალექსანდრიას“ ფეხბურთელები ერთი თავით მაღლები იყვნენ ჩვენზე. მეორე ტაიმში გამოვდივარ შეცვლებზე, თუმც ამაში გასაკვირი არაფერია — თავადაც ვგრძნობ, რომ 90 წუთი თამაში ჯერ გამიჭირდება. ოპტიმალურ ფიზიკურ კონდიციებამდე ცოტა დრო მჭირდება. ვფიქრობ, ოფიციალურ მატჩებშიც მალე დავიწყებ გოლების გატანას. უკვე დროა“ — თქვა მარცვალაძემ.

ოთარმა „ალექსანდრიასთან“ ბოლო 25 ხუთი წუთი ითამაშა, დავით იმედაშვილს მხოლოდ ერთი წუთი დაუთმეს, ხოლო ლაშა თოთაძე და კახა ალადაშვილი მინდორზე არ გამოჩენილან.

რადგან „დინამოს“ მეორე გუნდზე ვთქვით, „დნიპრო 2“-ის ამბებიც ვახსენოთ, სადაც სანდრო კობახიძის გარდა, ბექა ბერაშვილიც თამაშობს. ეს ბიჭი ამპლუით მარცხენა ნახევარმცველია, ორიოდ თვის წინ ტესტ-მატჩებში გოლებიც შეაგდო და გუნდში დატოვეს. „არსენალი 2“-თან ბერაშვილი პირველი ტაიმის მიწურულს შეცვლაზე შევიდა და კარგადაც ითამაშა. მასპინძლებმა 2:0 იმარჯვეს.

ერთიც, კობახიძე ამ მატჩში უკანდაწეულ ფორვარდად გაისარჯა.

**ილია ნანობაშვილი**

# ამირან მუჯირი: მთავარი მე კი არა, ბაკია

რაც „ბაკიში“ გადავიდა, ამირან მუჯირი გუნდის უცვლელი ლიდერია, აზერბაიჯანელები მასზე წერენ, ფეხბურთელიც კარგია და პიროვნებაც საკმაოდ დადებითი და კომუნიკაბელურიაო. მუჯირის „ბაკიმ“ შაბათს თანაქალაქელ „ოლიმპიკს“ 3:1 სძლია და ერთ-ერთმა აზერულმა ვებგვერდმა ჩვენიანს ინტერვიუ ჩამოართვა, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ. მუჯირმა ამ შეხვედრაში პენალტით გაიტანა გოლი...



— როგორ შეაფასებთ „ოლიმპიკთან“ მატჩს?

— პირველ რიგში, ჩვენს გულშემატკივრებს ვულოცავ გამარჯვებას. ნებისმიერ ფასად უნდა მოგვეგო, სხვა შედეგზე არც ვფიქრობდით. როცა „ოლიმპიკი“ ათი კაცით დარჩა და თან პენალტით გაგვათანაბრეთ, უკვე ცხადი გახდა, რომ უპირატესობა ჩვენი იქნებოდა. ასეც მოხდა, ჩვენ ვკარნახობდით სცენარს.

— პენალტი თქვენს კარშიც დაიდო. თვლით, რომ მსაჯი ორივე შემთხვევაში სამართლიანად მოიქცა?

— დიახ. ორივე პენალტი უეჭველი იყო. არანაირი პრეტენზიები არ გვაქვს.

— პენალტიც გაიტანეთ და მესამე გოლშიც მიიღეთ მონაწილეობა. ჩანს, ამ სეზონში სერიოზულად მომზადებულხართ...

— მე ჩემი გუნდისთვის ვთამაშობ. ჩემთვის მთავარი სამი ქულაა — ნეტავ, ყველა მატჩი მოვიგოთ და ბედნიერი ვიქნები.

— ძლიერ მეტოქეს მოუგეთ და ალბათ, ჩემპიონობას უმიზნებთ...

— აუცილებლად. არაფრის დათმობას არ ვაპირებთ.

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | კალიარი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 4 | 0 | 8 |
| ლევან მჭედლიძე | პალერმო | ს | იუვენტუსი 2:1 | 30 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 2 | 1 | 4 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლეკბერნი | შ | მანჩესტერი 0:2 | 0 | | 0 | 0 | 10 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ვოლფსბურგი 2:2 | 90 | | 5 | 0 | 5 |
| ლევან ყენია | შალკე | შ | ვოლფსბურგი 2:2 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 5 |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე | ს | არმინია 2:1 | 90 | | 5 | 0 | 12 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენ 1860 | ს | ფრანკფურტი 3:0 | 90 | | 4 | 0 | 13 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | აუგსბურგი | ს | ობერჰაუზენი 1:2 | 0 | | 2 | 0 | 17 |
| დავით თარგამაძე | ფრაიბურგი | შ | დუისბურგი 2:0 | 0 | | 1 | 0 | 1 |
| **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი | შ | კერნტენი 3:0 | 90 | | 11 | 0 | 5 |
| ილია კანდელაკი | შტურმი | შ | კერნტენი 3:0 | 90 | | 11 | 0 | 5 |
| **ავსტრია. ერსტელიგა** | | | | | | | | |
| მირზა ბუალავა | ა. ლუშტენაუ | შ | ზტ. პოლტენი 1:3 | 0 | | 4 | 0 | 12 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | ლოკომოტივი | ს | ტომი 1:0 | 4 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 0 | 8 |
| დავით კვირკველია | რუბინი | შ | ნალჩიკი 3:0 | 68 | შეცვალეს | 21 | 3 | 1 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | ნალჩიკი 3:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 14 | 0 | 1 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | შ | ნალჩიკი 3:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 1 |
| გოგიტა გოგუა | ნალჩიკი | ს | რუბინი 0:3 | 0 | ტრავმირებულია | 19 | 1 | 10 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | ნალჩიკი | ს | რუბინი 0:3 | 56 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 24 | 3 | 10 |
| დავით სირაძე | ნალჩიკი | ს | რუბინი 0:3 | 73 | შეცვალეს | 21 | 3 | 10 |
| ლევან გვაზავა | ლუჩ-ენერგია | ს | ზენიტი 1:8 | 90 | | 21 | 2 | 14 |
| **უკრაინა. ვიშა ლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | დინამო | ს | ხარკოვი 4:0 | 18 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 1 |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | ს | ხარკოვი 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| დავით იმედაშვილი | დინამო | ს | ხარკოვი 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | ს | ხარკოვი 4:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 1 |
| ლაშა თოთაძე | დინამო | ს | ხარკოვი 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | ზარია 1:1 | 13 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 1 | 13 |
| ლადო ბურდული | ტავრია | ს | ზარია 1:1 | 28 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 13 |
| გიორგი ციმაკურიძე | ზარია | შ | ტავრია 1:1 | 43 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 1 | 6 |
| კახა მჟავანაძე | ჩერნომორეცი | შ | შახტარი 0:3 | 90 | | 8 | 0 | 8 |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | ს | არსენალი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 7 |
| სანდრო კობახიძე | დნიპრო | ს | არსენალი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| ბექა ბერაშვილი | დნიპრო | ს | არსენალი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| სანდრო გურული | კარპატი | შ | ვორსკლა 0:0 | 90 | | 2 | 0 | 12 |
| **ჩეხეთი. გამბრინუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | ბოლესლავი | შ | პრჟიბრამი 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 1 | 0 | 1 |
| დიმიტრი ტატანაშვილი | პლზენი | ს | ზლინი 0:2 | 64 | შეცვალეს | 8 | 1 | 12 |
| **სლოვაკეთი. კორგონ ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი ლილუაშვილი | ნიტრა | ს | დუბნიცა 2:1 | 90 | 1 გოლი | 11 | 2 | 8 |
| მირიან ქითავა | ტატრანი | ს | კოშიცე 5:5 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ივანიშვილი | ციურიხი | ს | ლუცერნი 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| **დანია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| დავით დევდარიანი | ორჰუსი | ს | ესბიერგი 0:1 | 0 | | 0 | 0 | 5 |
| **დანია. 1 დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი | შ | ჰვიდოვრე 1:1 | 90 | | 6 | 0 | 1 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ტოტალიზატორი

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი | წყვილი | შედეგი | კოეფ-ტი | სისტ

— ეს რენზინგი შტანგით უნდა სცემოს კაცმა, რა! პატარა ბიჭია და უკვე რეებს კადრულობს ტო!

— მარტო ეგ კი არა, ძმაო, კლინსმანიც მაგარი საბერტყია. ტაიმბოლის ორმოციანი კუშივით უნდა გასიო...

— „ბაიერნის" გაგანია ერთიანი მეწერა, ტო! ზე რობერტუმ მესამე რო შეაგდო, მეთქი ეგ არი რა! ბრაზილიურ ტანკში ვზივარ და „პელეს" ვადულებ... ტანკში კი არა თურმე...

„ბოხუმის" მესამე გოლი ნახე? რენზინგმა იცი რა იჩალიჩა? როჟამ თავით დაურტყა და მასტმა ხელი არ გაატოკა ტო! მეკარემ ტო! იმენა... ხელები ჩამოუშვა და სმირნაზე დადგა.

დაჟე, მგონი, ტრუსიდან ნარუჩნიკები გააძრო და ხელებზე გაიკეთა, რო შემთხვევით ბურთი არ მოეგერიებინა...

არ არი ეხლა ეგ ნაყომარები თამაში? არ არი ეგ რენზინგი ორი შტანგით საცემი?

— ცვეტში ძმაო, ცვეტ-ში! რა უქნა მაგ კლინსმანმა გუნდს, მოწვი? ტონი ვაფშე გაჩერდა... მსაჯია თუ ფუტბალისტი, მამენტ ვერც გააიასნებ...

— მსაჯზე გამახსენდა, ტო... ის სასტვენაფეთქებული სუდია ვინ იყო, კვირას „რომას" ორი კაცი რო გაუგდო... არ იცი?

— ვიცი ჯიგარო, ვიღაც დე მარკოა, ტუჩებზე უეჭველად „მომენტი" წებო ესვა. „რომას" ლაბავოი ორიანი დავდე. „ბორდოს" ბურთი თავზე რო გადაამტვრია, „სიენასაც" გადახერხავს მეთქი და ეს ვიღაც დე მარკო არ მომითრია კოლინამ?

— კოლინა რა შუაშია, ტო!

— ეეე-- იმენა შუაშია. იტალიაში სუდიების პრეზიდენტი ეგ არი რა...

ჰოდა მაგან იჩალიჩა, რო „რომას" უეჭველში წაეგო. იმიტო რო, „ბორდოს" მერე მაგრა დაიგრუზა სპალეტის ორიანი და მაგანაც დე მარკო შეტენა „სიენას" თამაშზე.

ტიპმა ისე უსტვინა, რო „რომას" 11 კაცი გაუგდო, მერე სათადარიგოებიც გაყარა, და რომიდან ჩასულ ბალეშჩიკებსაც სულ წითლები დაურიგა და დედაქალაქში გაყარა.

ცვეტში ამბობენ, რომ მაგ მატჩის მერე დე მარკოს გაუბერია და საავადმყოფოში გაუქანებიათ...

**ქუში ქოშმარია**

ჩემი ბილეთი:
ჩოგბურთი. 001 კუზნეცოვა — ნა ლი
შედეგი: წიხლი
სავარაუდო მოგება: ოთხკარიანი ცხენი — X5.
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ,
მართლა ცემა თუ არა ოლივერ კანმა
მიხაელ რენზინგი „ბოხუმთან" მატჩის შემდეგ

114140 *

# მშობელთა შე-კრება

**სერ ალექს ფერგიუსონმა** „მანჩესტერ იუნაიტედს" საშობაო ქეიფი ფაქტობრივად აუკრძალა. მიზეზი: ინგლისის ჩემპიონთა ბოსს არ უნდა, განმეორდეს შარშანდელი ორგია, როდესაც საკლუბო ზეიმი ფეშენებელურ სასტუმროში დასტა-დასტა ქალების აყვანით და სკანდალებით დასრულდა.

გეხსომებათ, შარშანდელი სკანდალური ქეიფის ერთ-ერთი შედეგი ისიც იყო, რომ მცველ ჯონ ევანსს მავანმა გოგომ გაუპატიურებაში დასდო ბრალი და ატყდა ერთი გამოძიება და მოკვლევა.

მაგრამ, მეორე მხრივ, როგორ გინდა, შობა ზეიმის გარეშე ჩაატარო?

გამოსავალთა პოვნით საყოველთაოდ ცნობილმა სერ ალექსმა ამჯერად ფრიად თავისებურ ხერხს მიმართა: კლუბის მიერ დაგეგმილ ოფიციალურ საშობაო საღამოზე „მანჩესტერ იუნაიტედის" მოთამაშეები მხოლოდ- მშობლებთან ერთად დაიშვებიან.

სხვათა შორის, სერ ალექსის უცნაური გადაწყვეტილების ერთ-ერთი მოტივი ისიცაა, რომ მას არ სურს, მისმა ზე-მდიდარმა ქვეშევრდომებმა თავაწყვეტილი ფულის ფლანგვით შეურაცხყოფა მიაყენონ იმ ადამიანებს, ვინც შიმშილობს ან თუნდაც უბრალოდ ღარიბია. მდიდრის ქცევა ყოველთვის მოზომილი უნდა იყოს.

„იუნაიტედის" ამბებში გარკვეულმა მავანმა ახლობელმა The News of the World-ს უამბო: „სერ ალექსი




შარშანდელ საშობაო ზეიმზე მისი ფეხბურთელების ქცევამ საშინლად განარისხა. ახლა, როდესაც უკვე შემოდგომა დადგა და წლევანდელი შობაც ახლოვდება, რამდენიმე ფეხბურთელმა რესტორნის შერჩევაზე სცადა ლაპარაკის დაწყება, მაგრამ, როგორც გაირკვა, წლეულს ზეიმი მეტად მოკრძალებული იქნება და, რაც მთავარია, ყოველ ნაბიჯზე საკუთრივ ფერგიუსონით იქნება გაჟღენთილი. რასაკვირველია, მწვრთნელმა კარგად იცის, რომ მისი ფეხბურთელები წმინდანებივით ვერც ამჟამად მოიქცევიან, მაგრამ ის, რომ ზეიმს მათი მშობლებიც დაესწრებიან, ფრთებს აშკარად შეუკვეცავს".

**პაპუნა ქედია**

## სიტი ჰარტს და სტარიჯს იბევებს

**ინგლისურმა** „მანჩესტერ სიტიმ" თავის ფეხ[illegible] ჯერ ჰარტსა და თავდამსხმელ დენიელ სტარჯიჯთან კონტრაქტების გახანგრძლივებაზე მოლაპარაკება დაიწყო. ბოლო ერთი წლის განმავლობაში „ქალაქელებმა" ახალი გრძელვადიანი ხელშეკრულებები სამ მოთამაშესთან დადეს — მიკა რიჩარდსთან, ნედუმ ონუოჰასა და მაიკლ ჯონსონთან.

## იუვე და დიეგო

**ბრემენის** „ვერდერის" ბრაზილიელი ნახევარმცველი დიეგო ზამორის სატრანსფერო პერიოდში, შესაძლოა, ტურინის „იუვენტუსში" გადაბარგდეს. „ბებერი ქალბატონის" ხელმძღვანელობის აზრით, კლუბის მთავარი პრობლემა ის არის, რომ გამთამაშებელი არ ჰყავთ. ამ პრობლემის გადაწყვეტას ისინი ბრაზილიელი პლეიმეიქერის შეძენით შეეცდებიან.

## ვენეგორი დაშავდა

**გლაზგოს** „სელტიკის" ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა იან ვენეგორ ოფ ჰესელინკმა საზარდულის ტრავმა მიიღო და დაახლოებით ერთი თვით გამოვიდა მწყობრიდან. ასე რომ, ფეხბურთელს ჩემპიონთა ლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრის გამოტოვება მოუწევს, ჰესელინკი ვერც ჰოლანდიის ნაკრებს დაეხმარება, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ისლანდიასა და ნორვეგიასთან მატჩებში ელის.

## რობენმა ტრავმა მიიღო

**მადრიდის** „რეალის" ჰოლანდიელი გარემარბი არიან რობენი, რომელიც კვირას „ესპანიოლთან" შეხვედრისას მოედანზე მხოლოდ მეორე ტაიმში გამოჩნდა, 70-ე წუთზე უკვე შესაცვლელი გახდა. ფეხბურთელმა თამაშის მიმდინარეობისას მარცხენა ბარძაყის კუნთები დაიზიანა და მწყობრიდან გაურკვეველი ხნით გამოვიდა. „სამეფო კლუბის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, რობენი უახლოეს ორ კვირაში სამედიცინო შემოწმებას გაივლის, რის შემდეგაც მისი რეაბილიტაციის ზუსტი ვადებიც დადგინდება.

## ბელგრადში ფანებს აპატიმრებენ

**ბელგრადის** პოლიციამ კვირას გამართული „ცრვენა ზვეზდა" — „პარტიზანის" შეხვედრისას მომხდარ არეულობაში დამნაშავე 24 ეჭვმიტანილი დააკავა, რომელთაგან 13 ჯერ კიდევ პატიმრობაშია. სერბეთის ჩემპიონატის ამ მატჩისას გულშემატკივრები სამართალდამცავებს ქვებს ესროდნენ, რის შედეგადაც ხუთი პოლიციელი და ერთი სამოქალაქო პირი დაშავდა, დაზიანდა რამდენიმე ავტომობილიც. ეს შეხვედრა „წითელმა ვარსკვლავებმა" „პარტიზანებთან" 0:2 დათმეს.

## უიღბლო რივასი

**კოლუმბიელ** ნელსონ რივასს სეზონის სადებიუტო მატჩი უიღბლო გამოუვიდა. მილანის „ინტერის" მცველმა ამ სეზონში თავის პირველივე შეხვედრაში მუხლის ტრავმა მიიღო და მოედნიდან საკაცით გასაყვანი გახდა. სამედიცინო შემოწმებამ დაადგინა, რომ ფეხბურთელს მუხლქვეშა მყესები დაუზიანდა.

## კანფეტები მეპატრონეს ელიან

**ინგლისური** პრესის ცნობით, ლივერპულის „ევერტონმა", შესაძლოა, ამ თვეში მფლობელი გამოიცვალოს. „კანფეტების" პოტენციურ მყიდველებს შორის ახლოაღმოსავლური და ინდური კომპანიები სახელდება. მერსისაიდული კლუბის ხელმძღვანელობაც ძალიან დაინტერესებულია შეთანხმების გაფორმებაში, რათა „ევერტონის" დამრიგებელ დევიდ მოიესს იანვარში გუნდის გაძლიერების საშუალება მიეცეს.

## იემენი ემზადება

**იემენის** მთავრობამ სტადიონების მშენებლობისთვის და საერთოდ, საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 300 მილიონი დოლარი გამოყო. ეს ყველაფერი სპარსეთის ყურის ერთვნებათა თასისთვის კეთდება, რომელიც მსხვილი მასშტაბის საფეხბურთო ტურნირია და ამ ქვეყანაში ჩატარდება. თასის გათამაშებაში მასპინძელთა გარდა კიდევ შვიდი სახელმწიფო მონაწილეობს — საუდის არაბეთი, ყატარი, ერაყი, ბაჰრეინი, ომანი, ქუვეითი და ამ ტურნირის მოქმედი გამარჯვებული, არაბთა გაერთიანებული საემიროები.

## სნეიდერის გეგმები

**მადრიდის** „რეალის" ნახევარმცველმა უესლი სნეიდერმა აგვისტოში მიღებული მუხლის ტრავმა მოირჩინა და კვირას „ესპანიოლთან" შეხვედრაში მოედანზე 25 წუთი დაჰყო.

„სამწუხაროა, რომ ვერ გავიმარჯვეთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოედანზე დაბრუნება ძალიან მიხარია. განსაკუთრებით იმით ვარ ბედნიერი, რომ თავს კვლავ გუნდის ნაწილად ვგრძნობ. ახლა ჰოლანდიის ნაკრებში გამოძახება მელის, შესარჩევი მატჩების დასრულების შემდეგ კი პრიმერადივიზიონში მადრიდის „ატლეტიკოსთან" ვგეგმავ გამოსვლას" — განაცხადა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა.

შეგახსენებთ, რომ „ესპანიოლთან" „სამეფო კლუბმა" ფრედ, 2:2 ითამაშა.

**არჩილ ქობახიძე**

# ვის რად უნდა მარტო გოლი?!



ჯო კოულის ტრავმა არცთუ სერიოზული გამოდგა, მაგრამ...

**რა-რა** და მაიკლ ოუენმა ახლა უკვე დანამდვილებით იცის, რომ სანამ ინგლისის ნაკრებს იტალიელი ფაბიო კაპელო ხელმძღვანელობს, მისთვის საერთაშორისო ფეხბურთი ის არის, რასაც ტელევიზორში უყურებენ — კაპელომ 28 წლის ფორვარდი ყაზახეთის და ბელარუსის ეროვნულ გუნდებთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი თამაშებისთვის არ გამოიძახა.

სამაგიეროდ, მოხდა ისეთი რამ, რასაც არავინ ელოდა: კაპელომ ნაკრების კარი „პორტსმუთის“ თავდამსხმელ პიტერ კრაუჩს გაუღო.

შეგახსენებთ, რომ ინგლისელებს ბოლო ორი შეხვედრა ანდორასა და ხორვატიასთან ჰქონდათ და ორივე მოიგეს, მაგრამ ეს ყველაფერი მაშინაც ოუენის გარეშე მოხდა. იმხანად, კაპელომ განაცხადა, რომ ოუენი ცუდ ფორმაში იყო და ამიტომ არ გამოიძახა შეკრებაზე. მაგრამ მას მერე სურათი შეიცვალა. ფორვარდმა, რომელიც, სხვათა შორის, ინგლისის ნაკრების დღევანდელ მოთამაშეთა შორის 40 გოლით საუკეთესო ბომბარდირია, პრემიერლიგაში ექვსი მატჩი პირველიდან ბოლო წუთამდე ითამაშა, ამ მატჩებში სამი გოლი გაიტანა და პლუს, მისი ბოლო შეხვედრა „ევერტონთან“ კაპელოს ასისტენტმა ფრანკო ბალდინიმ საკუთარი თვალით იხილა.

მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — კაპელო ოუენს მაინც არ ენდობა, რადგან ფიქრობს, რომ ეს თავდამსხმელი ნაკრებს არ აძლევს იმას, რაც მოეთხოვება. ამ უქმეებზე იტალიელმა ასე განაცხადა:

„ფეხბურთელისგან გოლების გატანაზე მეტს ვითხოვ. 89 წუთის განმავლობაში არაფრის კეთება და მერე ერთის შეგდება მე არ მაკმაყოფილებს“.

კაპელომ არც ჩელსელი ჯო კოული გამოიძახა, მაგრამ მისი არგამოძახების მიზეზი სხვა გახლდათ: კვირის მატჩში, რომელიც ლონდონელებმა „ასტონ ვილას“ 2:0 მოუგეს, კოულმა მოედანი კოჭლობით დატოვა. ისე, საინტერესოა, რომ „ჩელსის“ მწვრთნელმა ფილ სკოლარიმ, რომელიც, წესით, თავისი ფეხბურთელის ნაკრებში გაშვებისა და დაღლის წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო, თქვა, კოული სანაკრებოდ მზად არისო, მაგრამ კაპელომ მაინც თავი დაიზღვია.

როგორც ინგლისელი მიმომხილველები ამბობენ, კოულის არგამოძახება იმას ნიშნავს, რომ ნაკრებში ტრავმის მერე დაბრუნებული სტივენ ჯერარდი, სავარაუდოდ, ნახევარდაცვის მარცხენა ფრთას დაიკავებს.

„მანჩესტერ სიტიში“ დაბრუნების შემდეგ, კვლავ ჩინებულად ათამაშდა შონ რაიტ-ფილიპსი და კაპელომ ეს ჩინებული თამაში დაუფასა კიდეც. სამაგიეროდ, დაიჩაგრა დევიდ ბენტლი, რომელიც „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ წლევანდელი ტანჯვა-წვალების მონაწილე გახლავთ.

არ გამოიძახეს ფულემელი ჯიმი ბალარდიც, რომლის ნაკრებში მოხვედრა წინა ჯერზე ყველას გაუკვირდა.

ვინაიდან „ბლექბერნის“ მეკარე პოლ რობინსონი დაშავებულია, კაპელომ სამ მეკარეს შორის სკოტ კერსონს უხმო, გოლკიპერს, რომელმაც ევრო 2008-ის შესარჩევში, ხორვატებთან საშინლად ითამაშა.

კიდევ, ინგლისური სანაკრებიო ამბებიდან იმის თქმა შეიძლება, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავი უეინ რუნი იმედიანად არის, ორივე თამაშში მონაწილეობას შეძლებო. ეჭვი რუნის ჯანმრთელობის შესახებ ჩემპიონთა ლიგის დღეს გაჩნდა, როდესაც მანჩესტერელებისა და დანიური „ოლბორგის“ შეხვედრის მიწურულს ინგლისელმა თავდამსხმელმა მოედანი დატოვა, მაგრამ საექიმო შემოწმებამ საშიში არაფერი აჩვენა და თანაც, შაბათს რუნიმ პრემიერლიგის შეხვედრაში „ბლექბერნს“ გაუტანა.

„თავს კარგად ვგრძნობ, ფიზიკურადაც კარგ ფორმაში ვარ — განაცხადა თავდამსხმელმა — ერთადერთი, კოჭს უნდა გავუფრთხილდე, კერძოდ კი, მე რომ [illegible] ცოტა ნაკლები [illegible], რაც შეეხება [illegible] არ მეპარება, ორივესთვის მზად ვიქნები“.

აღსანიშნავია, რომ რუნიმ ბოლო სამ შეხვედრაში მოახერხა გოლის გატანა და ამბობს, რომ კიდევ ერთს ნაკრებში შეაგდებს.

„მიხარია, ისევ რომ გამაქვს გოლები. თუ ჩემს კარიერას დააკვირდებით, ნახავთ, რომ ყოველთვის ასე ვიყავი: მქონდა გოლების პერიოდები, რასაც მერე ხელმოცარვა მოსდევდა. იმედი მაქვს, მომავალში ჩემი გოლები უფრო მუდმივ ხასიათს მიიღებს“.

დაბოლოს, კაპელოს რჩეულთა სია:

**მეკარეები:** დევიდ ჯეიმსი („პორტსმუთი“), რობერტ გრინი („ვესტ ჰემი“), სკოტ კერსონი („ვესტ ბრომვიჩი“);

**მცველები:** ჯონ ტერი, ეშლი კოული, უეინ ბრიჯი (ყველა — „ჩელსი“), რიო ფერდინანდი, ვესლი ბრაუნი (ორივე — „მანჩესტერი“), გლენ ჯონსონი („პორტსმუთი“), მეტიუ აპსონი („ვესტ ჰემი“);

**ნახევარმცველები:** დევიდ ბექემი („ლოს ანჯელეს გელექსი“, აშშ), ფრენკ ლამპარდი („ჩელსი“), სტივენ ჯერარდი („ლივერპული“), გარეთ ბერი („ასტონ ვილა“), შონ რაიტ-ფილიპსი („სიტი“), ჯერმეინ ჯენასი („ტოტენჰემი“), სტიუარტ დაუნინგი („მიდლსბრო“);

**თავდამსხმელები:** პიტერ კრაუჩი, ჯერმეინ დეფო (ორივე — „პორტსმუთი“), უეინ რუნი („მანჩესტერი“), თეო უოლკოტი („არსენალი“), ემილ ჰესკი („უიგანი“).

**ბაჩუნა ქედია**

# მერსისაიდელთა საოცარი მოგზაურობა ისტლენდზე

**რაფა ბენიტესი** თავისი მეორე ტაიმის გმირებით აღფრთოვანებულია — „ლივერპულმა“ „მანჩესტერ სიტისთან“ „ისტლენდზე“ გამართული პრემიერლიგის საკვირაო შეხვედრის პირველი ნახევარი 0:2 წააგო, შესვენების შემდეგ კი გმირობა ჩაიდინა და სამი გოლი გაუტანა გვარიანად დაწინაურებულ მასპინძელს. დაგვეთანხმებით, ჯერ რაა, ჩემპიონატი ახალი დაწყებულია, მაგრამ ინგლისურ პრესაში აქაიქ ისიც კი დაიწერა, მერსისაიდელებმა ამ გმირობით ჩემპიონობის შანსი გადაარჩინესო.

„სიტის“ კარში გატანილი სამი გოლიდან ორი ფერნანდო ტორესმა შეაგდო. და საინტერესო რა არის, იცით? ის, რომ „ლივერპულის“ მიერ ამ სეზონში გატანილი ათი გოლიდან ცხრა სწორედ მეორე ტაიმისა გახლდათ. ხოლო გამარჯვებისა ჰოლანდიელმა დირკ კუიტმა მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე დააქუხა. ერთი სიტყვით, ნამდვილი პრემიერლიგური თრილერი გამოვიდა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ლივერპულელთა თავკაცმა განაცხადა:

„ის, რაც დღეს მოხდა, ჩვენი გუნდის ხასიათზე მეტყველებს. კიდევ, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ფეხბურთელები კარგად არიან მომზადებულნი. ფიზიკურად საუცხოო ფორმაში ვართ, რისთვისაც ქება და დიდება ჩვენს ფიზმომზადების სპეციალისტს, თუმცა გუნდის მენტალური მომზადებაც საგანგებო აღნიშვნის ღირსია“.

ლივერპულელთა სამწუხაროდ, გამარჯვებამ მსხვერპლი მოითხოვა: მცველ მარტინ შკრტელს ნაღრძობ კოჭზე რენტგენი უნდა გადაუღონ.

„მარტინის ტრავმამ ძალიან დაგვამწუხრა — განაგრძო ბენიტესმა — რასაკვირველია, გადაჭრით რენტგენის შედეგების გაცნობის შემდეგ ვიტყვით, მაგრამ აქედან ისე ჩანს, რომ შკრტელი, შესაძლოა, სერიოზულად იყოს დაშავებული“.

თუმცა, ბენიტესს პრესკონფერენციაზე მაინც უფრო დადებითზე სურდა საუბარი.

„ყველაზე მეტად მაინც ფეხბურთელების რეაქცია მომეწონა. ამ შეხვედრაში ჩვენ ორი შეცდომა დავუშვით გუნდთან, რომელსაც სისწრაფე და ოსტატობა არ დაეწუნება, მაგრამ ჩვენმა თავდადებამ და საკუთარი შესაძლებლობების რწმენამ ყველაფერი გადაწონა“.

აღსანიშნავია, რომ ფერნანდო ტორესის პირველი გოლი ლივერპულელთა მეათასე გახლდათ პრემიერლიგაში. რაც შეეხება თავად ესპანელ თავდამსხმელს, მან იმ დღეს ორი გოლის გატანით მიმდინარე სეზონში თავისი შედეგიანი დარტყმების რაოდენობა ხუთამდე გაზარდა.

„კარგად ვიცით, თუ რა მნიშვნელოვანია ფერნანდო ტორესი ჩვენთვის. მეტოქისთვის კი ის მუდამ სახიფათოა, ნებისმიერ წამს შეუძლია, გოლი გაიტანოს, ან თანაგუნდელი გაიყვანოს საგოლე პოზიციაზე“ — განაგრძო ბენიტესმა.

„სიტის“ თავკაცმა მარკ ჰიუზმა კი მხოლოდ ის დაიჩივლა, ვერ გავიგე, მსაჯმა პიტერ უოლტონმა პაბლო საბალეტა მოედნიდან რატომ გაგვიგდო, მისი და ხაბი ალონსოს ორთაბრძოლაში გასაგდები ვერაფერი დავინახეო. თუმცა, შემდეგ, მომხდარში ჰიუზმაც დადებითის დანახვა გადაწყვიტა და იმ პრობლემებზე ილაპარაკა, მისმა მოთამაშეებმა „ლივერპულს“ პირველ ტაიმში რომ შეუქმნეს.

„მე ფრიად კმაყოფილი ვარ იმით, თუ როგორ ითამაშეს ჩემმა ფეხბურთელებმა პირველ ტაიმში — ბრძანა ჰიუზმა — ჩვენ საუცხოო „ლივერპულთან“ საუცხოოდ ვითამაშეთ. ამ გუნდისთვის იმდენი პრობლემა, რამდენიც ჩვენ, ამ სეზონში სხვას არავის შეუქმნია. დამარცხებას არ ვიმსახურებდით“.

**ბაჩუნა ქედია**



ფერნანდო ტორესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რამოს წონს და რა არა, მწვრთნელს



ხუანდე რამოსი

**მართალია,** „ტოტენჰემ ჰოთსპური“ „ტიტანიკზე“ ჩქარა იძირება, მაგრამ ლონდონელთა ესპანელი მწვრთნელი ხუანდე რამოსი ამბობს, რომ თანამდებობიდან ფეხსაც არ მოიცვლის — „ჰალის“ ბრაზილიელი ფეხბურთელის, ჯოვანის საჯარიმო დარტყმამ „ტოტენჰემს“ მორიგი მარცხი აწვნევინა და კვლავ პრემიერლიგის ცხრილის ბოლოში ჩატოვა.

სტატისტიკა მეტყველებს, რომ ზედიზედ შვიდი მატჩი მოგების გარეშე „სფურზს“ 1912 წლის მერე არ ჩაუტარებია. „ტიტანიკიც“ სწორედ ამიტომ ვახსენეთ — ლეგენდარული გემი იმ წელიწადს ჩაიძირა.

მაგრამ ხუანდე რამოსე დაჟინებული კაცი ჩანს, რომელზეც სტატისტიკა და „გემობანა“ არ მოქმედებს. მან თქვა:

„მე ისტორია არ ვიცი და მასზე ლაპარაკი არც მაინტერესებს“.

როგორც გითხარით, რამოსი დარწმუნებულია, რომ თანამდებობიდან არ მოხსნიან. რასაკვირველია, ის არც თავად აპირებს გადადგომას და ვინაიდან „ტოტენჰემს“ მასთან კონტრაქტის თანახმად ჯერ კიდევ სამი წელიწადი აკავშირებს, ლონდონელებს მისი გაშვება 15 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ.

რამოსმა თქვა: „ეს ფეხბურთია, ფეხბურთმა კი ტრავმები იცის. ამწუთას ჩვენი მთავარი პრობლემა თავდამსხმელის არყოლაა. თავდასხმა „სფურზის“ ყველაზე სუსტი წერტილია, მაგრამ დღეს ამ პრობლემას ვერაფრით გადავჭრით. როდესაც გუნდში მხოლოდ ორი თავდამსხმელია, შეცვლებს ვერ გააკეთებ“.

როდესაც მწვრთნელს ჟურნალისტებმა უთხრეს, რომ გუნდის დღევანდელი მდგომარეობა მისი ბრალიცაა, რადგან „ტოტენჰემმა“ სატრანსფერო პოლიტიკაში სერიოზული შეცდომები დაუშვა, მან თითი ცივად გაიშვირა დირექტორატისკენ.

„განა ეს, სატრანსფერო გადაწყვეტილებები მე მეხებოდა? მე აქ არაფერშუაში ვარ. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ თუ მომავალშიც დღევანდელივით ვითამაშებთ, გამარჯვებები აუცილებლად მოვა. ფეხბურთელებმა თავი არ დაზოგეს და საქმისადმი სწორი მიდგომა გვაჩვენეს. ვფიქრობ, ეს სწორედ ის გზაა, რომელიც სიტუაციას შეცვლის. გულწრფელად გეუბნებით, თამაში ძალიან მომეწონა“.

შემდეგ კი ხუანდე რამოსმა საოცარი რამ დასძინა:

„ხანდახან, როდესაც გოლი ვერ გაგაქვს, ვერ იგებ“.

პრესკონფერენციის ბოლოს რამოსს ერთხელაც ჰკითხეს გადადგომის შესახებ.

„ეს ჩემი სამსახურია. მე წაგების შემდეგაც იგივე ვარ, რაც მოგების შემდეგ“ — იყო პასუხი.

დღეისთვის „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ ორი ქულა აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ორი ქულით ნაკლები აქვს, ვიდრე შარშან ამ დროს მის დღეში მყოფ „დერბის“ ჰქონდა.

ჟურნალისტებთან საუბარი რამოსმა ასე დაასრულა:

„რასაკვირველია, ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა არ მომწონს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი გამოსწორდება“.

**ბაჩუნა ძიძია**

# გაჯანსაღების ათი დღე

**„ჩელსის“** თავკაცმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ მისი ბიჭების მიერ „ასტონ ვილას“ 2:0 დამარცხებით ფრიად ისიამოვნა, მაგრამ ისიც ბრძანა, ეს ჯერ კიდევ სასურველი დონე არ არისო.

გოლები ბირმინგემელთა კარში ჯო კოულმა და ნიკოლა ანელკამ გაიტანეს. ამ შედეგის წყალობით ლონდონელებმა სანაკრებო შესვენების წინ პრემიერლიგის ცხრილში პირველი ადგილი დაიმკვიდრეს, რაც სკოლარის ერთიორად უკეთებს გულს. საქმე ის არის, რომ ინგლისური გუნდის ბრაზილიელი თავკაცი დარწმუნებულია, რომ მომდევნო ტურისთვის მას რამდენიმე დაშავებული ფეხბურთელიც დაუბრუნდება და გუნდიც კიდევ უფრო გაძლიერებული განაგრძობს კარგად დაწყებულ საქმეს.

„დიახ, როდესაც ჩემპიონატი განახლდება, ჩვენ, სავარაუდოდ, რამდენიმე გამოჯანმრთელებული ფეხბურთელით ვიქნებით გაძლიერებულნი. რასაკვირველია, ეს დიდი პლუსია და ჩვენც ბოლომდე შევუტევთ ჩემპიონობისკენ მიმავალ გზას.

ჩემთვის „ასტონ ვილასთან“ თამაში აქამდე ნათამაშებთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. კარგად ვიცოდით, რომ გამარჯვების შემთხვევაში ცხრილის სათავეში აღმოვჩნდებოდით და მთელი სანაკრებო შესვენების განმავლობაში იქ ვეწერებოდით. მართალია, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრებში ჩვენი რამდენიმე ფეხბურთელიც მონაწილეობს, მაგრამ, აკი გითხარით, რომ დაშავებულები დაგვიბრუნდებიან-მეთქი და ეს ათდღიანი მონაკვეთი სწორედ ამით იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი. ამ ფეხბურთელებს ძალთა აღსადგენად დრო ექნებათ“.

ლონდონელებს მომდევნო თამაში „მიდლსბროსთან“ ელით. ამ შეხვედრისთვის სკოლარის განკარგულებაში დაბრუნდებიან დეკუ და ალექსი, რიკარდუ კარვალიუ და დიდიე დროგბა კი ამის შემდეგ, სავარაუდოდ, არცთუ დიდი ხნის შემდეგ შეუერთდებიან გუნდს.

**ბაჩუნა ძიძია**



ლუიშ ფელიპე სკოლარი




მაქსი როდრიგესი შესარჩევებს გააცდენს

# ბასილემ რაზმს უხმო

**ალფიო ბასილეს** ხელმძღვანელობით არგენტინის ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა იმ 24 ფეხბურთელის სია გამოაქვეყნა, რომელნიც ურუგვაისა და ჩილესთან 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მიიღებენ მონაწილეობას, თუმცა ერთ-ერთი მათგანი, მადრიდის „ატლეტიკოს“ ნახევარმცველი მაქსი როდრიგესი თავის ნაკრებს ამ ბატალიებში ნამდვილად ვერ დაეხმარება. „ბარსელონასთან“ პრიმერადივიზიონის შაბათის მატჩში, რომელიც არა მხოლოდ „ატლეტიკოსთვის“ გამოდგა ავადსახსენებელი (მადრიდელები ამ შეხვედრაში 1:6 განადგურდნენ), როდრიგესმა მარჯვენა ფეხის კუნთი დაიჭიმა და დაახლოებით 10 დღე ფეხბურთის გარეშე ყოფნა მოუწევს.

ალფიო ბასილემ ნაკრებში ორ ახალბედას უხმო, ორივე „სან ლორენსოდან“. თავდამსხმელი გონსალო ბერხესიო და ნახევარმცველი პაბლო ბარიენტოსი, რომელიც, თურმე, რუსული პრემიერლიგის „მოსკვას“ საკუთრება ყოფილა. „ალბისელესტეს“ სრული შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** ხუან პაბლო კარისო („ლაციო“, იტალია), სერხიო რომერო (აზ-67, ჰოლანდია), აგუსტინ ორიონი („სან ლორენსო“);

**მცველები:** ნიკოლას ბურდისო, ხავიერ ძანეტი (ორივე — „ინტერი“, იტალია), ფაბიან მონსონი („ბეტისი“, ესპანეთი), მარტინ დემიკელისი („ბაიერნი“, გერმანია), დანიელ დიასი („ხეტაფე“, ესპანეთი), გაბრიელ ჰაინცე („რეალი“, ესპანეთი), ფაბრიციო კოლოჩინი („ნიუკასლი“, ინგლისი);

**ნახევარმცველები:** ხუან რომან რიკელმე („ბოკა ხუნიორსი“), პაბლო საბალეტა („მანჩესტერ სიტი“, ინგლისი), ესტებან კამბიასო („ინტერი“, იტალია), ანხელ დი მარია („ბენფიკა“, პორტუგალია), პაბლო ბარიენტოსი („სან ლორენსო„), კრისტიან ლედესმა („ლაციო“, იტალია), ლეანდრო სომოსა („ველეს სარსფილდი“);

**თავდამსხმელები:** გონსალო ბერხესიო („სან ლორენსო“), ლეო მესი („ბარსელონა“, ესპანეთი), კარლოს ტევესი („მანჩესტერ იუნაიტედი“, ინგლისი), სერხიო აგერო („ატლეტიკო“, ესპანეთი), დიეგო მილიტო („ჯენოა“, იტალია).

**არჩილ ძოგახიძე**

# სამოური პრობლემები

**სამოას** ფეხბურთის ფედერაცია ძალიან რთულ მდგომარეობაში იმყოფება. ოკეანეთის ფეხბურთის კონფედერაციამ ფინანსური და ადმინისტრაციული დარღვევების გამო ამ ორგანიზაციის წევრობა დროებით შეუჩერა. ფედერაციის ვალი ამჟამად 600 ათას დოლარს შეადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში სამოელებმა ფიფასგან 5 მილიონი დოლარი მიიღეს. ოკეანეთის კონფედერაციამ ამ ქვეყნის საფეხბურთო ხელმძღვანელობის დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა სამოელები არ დამორჩილდნენ და ახლა მათ კონფედერაციიდან მოკვეთა ემუქრებათ, ამისთვის კი ოკეანეთის ამ საფეხბურთო ორგანიზაციის წევრთა ხმების ორი მესამედია საჭირო.

აქვე აღვნიშნოთ, რომ სამოას ნაკრები 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლისთვის ბრძოლას შესარჩევი ტურნირის პირველივე ეტაპზე გამოეთიშა და ამჟამად ფიფას ეგიდით არცერთ შეჯიბრში არ მონაწილეობს.

**არჩილ ძოგახიძე**

# უბრალოდ, იბრაკადაბრა...
## მოდაში იყო წითელი ფერი

**ზლატან იბრაჰიმოვიჩმა მორიგი დიდებული გოლი გაიტანა. „იუვენტუსმა“ შინ „პალერმოსთან“ წააგო და კლაუდიო რანიერის მოხსნაზე ხმაც ამაღლდა. ჩვენთვის კიქმთავარი ის არის, რომ სიცილიელთაგან გამარჯვების გოლი ჩვენებურმა ლევან მჭედლიძემ გაიტანა, თან საკმაოდ ეფექტურადაც. ეს „მჭედლოს“ პირველი გოლი გახლავთ სერია A-ში და დიდი დაფიქრება არ სჭირდება იმის გასააზრებლად, თუ რას ნიშნავს, ტურინში „იუვენტუსს“ გამარჯვების გოლი გაუტანო. channel4.com-ი კი ტრადიციულ ჩანახატს გვთავაზობს**



### გამარჯვებული

*კრისტიანო დონი (ატალანტა)* — 34 წლისაა, მაგრამ ეს ხელს არანაირად არ უშლის, რომ „ატალანტას“ თამაშის სულისჩამდგმელი იყოს. უმაღლესი კლასის პროვინციელი პლეიმეიკერი, რომელმაც თანაგუნდელ სერჯო ფლოკარისთან ერთად „სამპდორია“ წააქცია (4:2). დონიმ გაიტანა გოლი, გააკეთა ორი საგოლე გადაცემა და გენუელები სწორედ მის გამო დარჩნენ ცხრა კაცით: მე-80 წუთზე, როცა აკარდი უკვე გაძევებული იყო, დანიელე დესენამ გადაწყვიტა, რომ დონის გაჩერების ერთადერთი გზა მისი მოცელვა იყო და წითელი ბარათიც აუფრიალეს.

### დამარცხებული

*ფილიპ მექსესი (რომა)* — ფრანგი მთავარი დამნაშავეა მარიო ფრიკის გოლში, რომელმაც დედაქალაქელებს „სიენასთან“ წააგებინა. შემდეგ, მექსესმა წითელი ბარათიც მიიღო და თავისი კლუბი კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში ჩააგდო. მექსეშს უკვე ჰქონდა ერთი ყვითელი ბარათი, როცა კიდევ ერთხელ ბავშვურად დაუწყო მსაჯს საქმეების გარჩევა და... ცოტა ხანში „ჯალოროსის“ კრისტიან პანუჩიც გაუძევეს და გუნდი ფაქტობრივად გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. „რომა“ აშკარა კრიზისშია და ამის გამო, გარკვეული პასუხისმგებლობა მექსესსაც უნდა დაეკისროს, რომელიც ბოლო დროს ძალიან ცუდად გამოიყურება.

### ტაქტიკური მასტერკლასი

*დავიდე ბალარდინი (პალერმო)* — გასულ სეზონში იგი „იუვენტუსს“ „კალიარით“ ეწვია და ქულა წაიღო, ახლა კი „პალერმოთი“ ესტუმრა და უკვე სამი ქულა მოიპოვა. არადა, სიცილიელებს „ბებერი ქალბატონისთვის“ სტუმრად 1961-1962 წლების სეზონის მერე არ მოეგოთ. „როზანეროს“ მოგებაში კლაუდიო რანიერის უცნაური შემადგენლობა და მერე, ასევე უცნაური შეცვლებიც დაეხმარა, მაგრამ ფაქტია, რომ „პალერმომ“ მშვენივრად ითამაშა. შეგახსენებთ, რომ პირველი ტურის მერე, „პალერმოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მაურიციო ძამპარინიმ სტეფანო კოლანტუონო მოხსნა და ბალარდინი დანიშნა... ახლა კი გუნდი სერია A-ს ამჟამინდელ ლიდერს ოღენ ქულით ჩამორჩება.

### ტურის გოლი

*ზლატან იბრაჰიმოვიჩი (ინტერი)* — უბრალოდ, „იბრაკადაბრა“! ეს არის გოლი, რომელსაც ძნელად თუ გადმოსცემ და ის ყველამ უნდა ნახოს, არ აქვს მნიშვნელობა, ვის ქომაგობს და ვის არა. შაბათს ზლატანმა მორიგი შედევრი შექმნა, რომელიც აუცილებლად შევა „კალჩოს ფოლკლორში“. ისე ჩანდა, ადრიანოს ჩაწოდებულს არაფერი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ „იბრამ“, რომელსაც ბოლონიელი, ერთი შეხედვით, მშიდროდ მეურვეობდა, ბრიუს ლის არსენალიდან ნასესხები ილეთით, როგორღაც ქუსლით, ბურთი კარში მოათავსა. „როსობლუს“ მეკარე ფრანჩესკო ანტონიოლი ალბათ ახლაც შოკშია. ეს ნამდვილი მაგიაა...

### მამა მია!

სიურპრიზები მოდის და მოდის. 6 ტური და წაუგებელი გუნდი აღარ დარჩა, მას მერე, რაც „ნაპოლიმ“ ცხრაკაციან „ჯენოასთან“ წააგო, ხოლო „იუვე“ შინ სენსაციურად დამარცხდა „პალერმოსთან“. „რომა“ გასვლაზე ასპროცენტიან შედეგს დაემშვიდობა, „ჯალოროსი“ მიჯრით მესამე სეზონია, ტოსკანაში „სიენასთან“ მარცხდება. საკვირველია, მაგრამ „სამპდორია“ ჯერაც მოუგებელია...

### რა ვისწავლეთ ამ ტურში

ნამდვილი წინასწარმეტყველი უნდა იყო, რომ მიმდინარე სერია A-ს მატჩებზე პროგნოზი გააკეთო. დაუმარცხებელი აღარავინ დარჩა. „ლაციო“, „ინტერი“ და „უდინეზე“ ლიდერობენ, „პალერმო“, „ნაპოლი“, „ატალანტა“ და „კატანიაც“ იქვე არიან. „იუვენტუსს“ ასე ცუდად სულ რამდენჯერმე დაუწყია და ეს ყველაფერი, ცხადია, უპირველესად რანიერის ბრალდება. ტურინელთა პრეზიდენტი უკვე პირდაპირ ამბობს, მწვრთნელთან პრობლემები გვაქვს, მაგრამ ერთად უნდა დავდგეთ და სირთულეები მოვაგვაროთო. ფეხბურთელებსა და უფროსობასთან რანიერის კონფლიქტსა და მის მოხსნასთან დაკავშირებით მითქმა-მოთქმა კი გრძელდება. დაბოლოს, ევრო 2004-ზე იბრაჰიმოვიჩის გოლი იტალიის ნაკრების კარში არცთუ იღბლიანობა და შემთხვევითობა ყოფილა...

### რიცხვი

მე-6 ტურის ფერი წითელი გახლდათ. ამ მოდას ბევრი ფეხბურთელი გადაყვა. ერთბაშად 9 წითელი ბარათი ვიხილეთ — სისოკო (იუვენტუსი), მექსესი, პანუჩი (ორივე — რომა), სკარდინა (კიევო), როსი, პაპასტათოპულოსი (ორივე — ჯენოა), პოლუჩი (კატანია), აკარდი და დესენა (ორივე — სამპდორია). როგორც ხედავთ, სამმა გუნდმა შეხვედრა 9 კაცით ჩაამთავრა. სასტიკად არ გაუმართლა „რეჯინას“, რომელმაც 12 კუთხური ჩააწოდა, 18-ჯერ დაარტყა კარისკენ, აქედან 9-ჯერ ზუსტად, ორჯერ გაარტყა ბურთი ძელს და მაინც ვერ წააქცია „კატანია“ (1:1). რეჯოკალაბრიელები ჯერაც მოუგებელნი რჩებიან, „სამპდორიასა“ და ერთპიროვნულ აუტსაიდერ „კალიარისთან“ ერთად.

**გიორგი ქაქაბაძე**

## რუსეთი
### პრემიერლიგა. XXIV ტური

ტომი — ლოკომოტივი 0:1; დინამო — სატურნი 2:1; რუბინი — ნალჩიკი 3:0; სპარტაკი — კრილია 0:1; მოსკვა — შინიკი 2:1; ზენიტი — ლუჩი 8:1; ხიმკი — ცსკა 1:2; ამკარი — ტერეკი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუბინი | 24 | 15 | 6 | 3 | 35:16 | 51 |
| ცსკა | 24 | 12 | 8 | 4 | 38:19 | 44 |
| დინამო | 24 | 12 | 7 | 5 | 34:25 | 43 |
| ამკარი | 24 | 11 | 7 | 6 | 24:16 | 40 |
| ზენიტი | 23 | 10 | 7 | 6 | 48:29 | 37 |
| კრილია | 24 | 9 | 10 | 5 | 35:21 | 37 |
| სპარტაკი | 24 | 9 | 9 | 6 | 36:32 | 36 |
| ლოკომოტივი | 23 | 9 | 7 | 7 | 28:26 | 34 |
| მოსკვა | 24 | 8 | 8 | 8 | 26:27 | 32 |
| ნალჩიკი | 24 | 8 | 5 | 11 | 24:29 | 29 |
| ტერეკი | 24 | 8 | 5 | 11 | 20:33 | 29 |
| სატურნი | 23 | 6 | 7 | 10 | 21:25 | 25 |
| ტომი | 24 | 7 | 4 | 13 | 20:33 | 25 |
| ლუჩ-ენერგია | 24 | 3 | 10 | 11 | 21:42 | 19 |
| ხიმკი | 24 | 3 | 8 | 13 | 25:47 | 17 |
| შინიკი | 23 | 3 | 6 | 14 | 22:37 | 15 |

## საბერძნეთი
### სუპერლიგა. V ტური

ლარისა — ოფი 4:3; არისი — ირაკლისი 1:0; ერგოტელისი — პაოკ 0:0; ტრიპოლისი — ქსანთი 0:0; პანათინაიკოსი — ლევადიაკოსი 2:0; ფილისი — პანსერაიკოსი 0:1; ოლიმპიაკოსი — აეკ 2:0; პანთრაკიკოსი — პანიონიოსი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:2 | 13 |
| პაოკ | 5 | 3 | 2 | 0 | 5:1 | 11 |
| ლარისა | 5 | 3 | 1 | 1 | 10:5 | 10 |
| ქსანთი | 5 | 3 | 1 | 1 | 3:1 | 10 |
| პანათინაიკოსი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:3 | 9 |
| ერგოტელისი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 8 |
| აეკ | 5 | 2 | 2 | 1 | 6:6 | 8 |
| ლევადიაკოსი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:5 | 7 |
| არისი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:6 | 6 |
| პანსერაიკოსი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:9 | 6 |
| პანიონიოსი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| ტრიპოლისი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 5 |
| პანთრაკიკოსი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:6 | 4 |
| ოფი | 5 | 0 | 3 | 2 | 5:8 | 3 |
| ირაკლისი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:5 | 2 |
| ფილისი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:8 | 0 |

## ხორვატია
### NHL. X ტური

სესვეტე — ჰაიდუკი 1:0; ინტერი — სლავენი 0:0; ზადარი — ვარტექსი 1:0; რიეკა — შიბენიკი 0:1; ციბალია — ზაგრები 0:1; დინამო — ოსიეკი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 10 | 7 | 1 | 2 | 20:10 | 22 |
| სლავენი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:13 | 17 |
| ჰაიდუკი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:13 | 17 |
| შიბენიკი | 10 | 5 | 1 | 4 | 13:10 | 16 |
| ზაგრები | 10 | 4 | 4 | 2 | 13:10 | 16 |
| სესვეტე | 10 | 4 | 3 | 3 | 13:9 | 15 |
| რიეკა | 10 | 4 | 2 | 4 | 12:10 | 14 |
| ციბალია | 10 | 4 | 2 | 4 | 11:17 | 14 |
| ვარტექსი | 10 | 4 | 1 | 5 | 13:15 | 13 |
| ინტერი | 10 | 2 | 4 | 4 | 18:20 | 10 |
| ოსიეკი | 10 | 2 | 3 | 5 | 12:16 | 9 |
| ზადარი | 10 | 1 | 1 | 8 | 8:18 | 4 |

## მექსიკა
### კლაუსურა. XI ტური

ტეკოსი — ატლასი 3:1; ნეკაქსა — პაჩუკა 1:1; კრუს ასული — ტოლუკა 1:1; ჩივასი — ტიგრესი 2:2; ინდიოსი — სან ლუისი 2:3; მონტერეი — ხაგუარესი 1:2; პუებლა — ატლანტე 0:2; პუმასი — ამერიკა 1:1; სანტოსი — მორელია 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან ლუისი | 11 | 7 | 2 | 2 | 17:11 | 23 |
| ატლანტე | 11 | 6 | 4 | 1 | 15:8 | 22 |
| ტეკოსი | 10 | 5 | 3 | 2 | 18:14 | 18 |
| პუმასი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:8 | 17 |
| სანტოსი | 11 | 4 | 4 | 3 | 17:13 | 16 |
| კრუს ასული | 10 | 4 | 4 | 2 | 17:14 | 16 |
| ტიგრესი | 10 | 4 | 3 | 3 | 12:8 | 15 |
| მორელია | 11 | 3 | 5 | 3 | 14:11 | 14 |
| ტოლუკა | 11 | 3 | 5 | 3 | 14:13 | 14 |
| ჩივასი | 11 | 3 | 5 | 3 | 16:19 | 14 |
| ამერიკა | 11 | 3 | 4 | 4 | 16:17 | 13 |
| პაჩუკა | 10 | 3 | 3 | 4 | 16:15 | 12 |
| მონტერეი | 11 | 3 | 3 | 5 | 14:18 | 12 |
| ატლასი | 11 | 3 | 2 | 6 | 17:20 | 11 |
| ხაგუარესი | 10 | 3 | 2 | 5 | 11:20 | 11 |
| ინდიოსი | 11 | 3 | 1 | 7 | 12:20 | 10 |
| ნეკაქსა | 11 | 1 | 6 | 4 | 12:17 | 9 |
| პუებლა | 11 | 1 | 6 | 4 | 7:13 | 9 |

## პოლონეთი
### I ლიგა. VIII ტური

იაგელონია — სლასკი 2:2; არკა — გდანსკი 0:1; კრაკოვია — ბიტომი 0:1; პიასტი — ლოძი 2:4; ბელხატუვი — რუხი 1:0; პოლონია — ოდრა 2:0; გურნიკი — ვისლა 1:1; ლეხი — ლეგია 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონია | 8 | 5 | 2 | 1 | 16:5 | 17 |
| ლეგია | 8 | 5 | 2 | 1 | 15:5 | 17 |
| ვისლა | 8 | 5 | 2 | 1 | 14:7 | 17 |
| ლეხი | 8 | 5 | 1 | 2 | 17:6 | 16 |
| სლასკი | 8 | 3 | 4 | 1 | 13:10 | 13 |
| ბელხატუვი | 8 | 4 | 1 | 3 | 9:8 | 13 |
| არკა | 8 | 4 | 1 | 3 | 10:10 | 13 |
| გდანსკი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:9 | 11 |
| რუხი | 8 | 3 | 2 | 3 | 6:9 | 11 |
| ოდრა | 8 | 3 | 1 | 4 | 10:12 | 10 |
| ბიტომი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:13 | 10 |
| პიასტი | 8 | 2 | 1 | 5 | 6:10 | 7 |
| ლოძი | 8 | 2 | 1 | 5 | 5:13 | 7 |
| იაგელონია | 8 | 1 | 3 | 4 | 5:11 | 6 |
| კრაკოვია | 8 | 1 | 2 | 5 | 4:12 | 5 |
| გურნიკი | 8 | 1 | 2 | 5 | 3:12 | 5 |

## სლოვაკეთი
### კორგონ ლიგა. XI ტური

კოშიცე — ტატრანი 5:5; რუჟომბეროკი — სლოვანი 1:1; ბანსკა ბისტრიცა — ტრნავა 0:1; დუბნიცა — ნიტრა 1:2; სტრედა — ჟილინა 2:0; ზლატე მორავცე — არტმედია 0:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოშიცე | 11 | 7 | 2 | 2 | 21:15 | 23 |
| ჟილინა | 10 | 6 | 3 | 1 | 20:5 | 21 |
| სლოვანი | 11 | 6 | 3 | 2 | 19:8 | 21 |
| ტრნავა | 10 | 5 | 3 | 2 | 15:8 | 18 |
| სტრედა | 11 | 4 | 3 | 4 | 15:13 | 15 |
| ტატრანი | 11 | 4 | 2 | 5 | 15:22 | 14 |
| რუჟომბეროკი | 11 | 3 | 4 | 4 | 13:14 | 13 |
| ნიტრა | 11 | 4 | 1 | 6 | 11:23 | 13 |
| არტმედია | 10 | 3 | 2 | 5 | 13:15 | 11 |
| დუბნიცა | 11 | 3 | 2 | 6 | 15:18 | 11 |
| ბანსკა ბისტრიცა | 10 | 2 | 3 | 5 | 5:9 | 9 |
| ზლატე მორავცე | 11 | 1 | 4 | 6 | 4:16 | 7 |

## სლოვენია
### 1 ლიგა. XII ტური

კოპერი — ლიუბლიანა 1:4; დრავა — მარიბორი 0:4; რუდარი — ნოვა გორიცა 2:1; დომჟალე — ცელიე 1:2; პრიმორიე — ნაფტა 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 12 | 7 | 4 | 1 | 29:18 | 25 |
| ნაფტა | 12 | 7 | 2 | 3 | 14:11 | 23 |
| დომჟალე | 12 | 5 | 4 | 3 | 18:13 | 19 |
| ცელიე | 12 | 4 | 5 | 3 | 15:12 | 17 |
| დრავა | 11 | 5 | 1 | 5 | 14:16 | 16 |
| რუდარი | 12 | 4 | 3 | 5 | 16:15 | 15 |
| ლიუბლიანა | 12 | 4 | 3 | 5 | 17:17 | 15 |
| ნოვა გორიცა | 12 | 4 | 1 | 7 | 16:23 | 13 |
| პრიმორიე | 11 | 2 | 4 | 5 | 16:19 | 10 |
| კოპერი | 12 | 2 | 3 | 7 | 11:22 | 9 |

## არგენტინა
### კლაუსურა. IX ტური

რასინგი — როსარიო 4:1; სან მარტინი — ბანფილდი 0:1; ველესი — სან ლორენსო 0:1; ლანუსი — არგ8 ხუნიორსი 4:2; ნიუელსი — ტიგრე 2:0; ურაკანი — ინდეპენდიენტე 1:0; ხიმნასია ხ — გოდოი 2:1; ბოკა ხუნიორსი — ესტუდიანტესი 1:2; ხიმნასია ლპ — რივერ პლეიტი 0:0; არსენალი — კოლონი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან ლორენსო | 9 | 7 | 1 | 1 | 16:4 | 22 |
| ნიუელსი | 9 | 5 | 2 | 2 | 14:8 | 17 |
| ტიგრე | 9 | 5 | 2 | 2 | 12:9 | 17 |
| ლანუსი | 9 | 4 | 3 | 2 | 17:12 | 15 |
| ველესი | 9 | 4 | 3 | 2 | 12:11 | 15 |
| ბოკა ხუნიორსი | 9 | 4 | 2 | 3 | 18:13 | 14 |
| სან მარტინი | 9 | 3 | 4 | 2 | 10:7 | 13 |
| არსენალი | 9 | 4 | 1 | 4 | 14:16 | 13 |
| რასინგი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:10 | 12 |
| კოლონი | 9 | 2 | 5 | 2 | 13:13 | 11 |
| ესტუდიანტესი | 9 | 3 | 2 | 4 | 13:14 | 11 |
| გოდოი | 9 | 3 | 1 | 5 | 13:15 | 10 |
| ბანფილდი | 9 | 2 | 4 | 3 | 11:13 | 10 |
| ხიმნასია ლპ | 9 | 2 | 4 | 3 | 9:11 | 10 |
| ინდეპენდიენტე | 9 | 2 | 4 | 3 | 7:9 | 10 |
| ხიმნასია ხ | 9 | 3 | 1 | 5 | 13:20 | 10 |
| ურაკანი | 9 | 2 | 3 | 4 | 7:12 | 9 |
| რივერ პლეიტი | 9 | 1 | 5 | 3 | 11:13 | 8 |
| როსარიო | 9 | 2 | 2 | 5 | 10:14 | 8 |
| არგ8 ხუნიორსი | 9 | 1 | 4 | 4 | 8:15 | 7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 120 | ბაროუ-ბარტონი | 2.80 | 3.30 | 2.35 | 1.51 | 1.27 | 1.37 |
| 22:45 | 121 | კემბრიჯი-ლიუისი | 1.40 | 4.10 | 8.00 | 1.04 | 1.19 | 2.71 |
| 22:45 | 122 | ქროული-ფორესტ გრინი | 1.65 | 3.50 | 5.50 | 1.12 | 1.26 | 2.13 |
| 22:45 | 123 | ისტბორნი-კეტერინგი | 2.75 | 3.25 | 2.40 | 1.48 | 1.28 | 1.38 |
| 22:45 | 124 | ნორთვიჩი-კიდერმინსტერი | 3.20 | 3.30 | 2.20 | 1.62 | 1.30 | 1.32 |
| 22:45 | 125 | რაშდენი -გრეისი | 1.65 | 3.50 | 5.20 | 1.12 | 1.25 | 2.09 |
| 22:45 | 126 | სელისბერი-ალტრინჰემი | 1.80 | 3.40 | 4.20 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| 22:45 | 127 | სტივენეიჯი-მენსფილდი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 22:45 | 128 | უოკინგი-უეიმუთი | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 22:45 | 129 | რექსემი-იორკი | 1.90 | 3.25 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.75 |
| | | 9 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 130 | ტორკი-ოქსფორდი | 1.85 | 3.40 | 4.00 | 1.19 | 1.26 | 1.83 |
| | | ჩრდ ირლანდია. 1 ლიგა | | | | | | |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 174 | ბანგორი-ნიური | 2.50 | 3.20 | 2.70 | 1.40 | 1.29 | 1.46 |
| 22:45 | 175 | კოლრეინი-კლიფტონვილი | 2.65 | 3.00 | 2.50 | 1.40 | 1.28 | 1.36 |
| 22:45 | 176 | კრუსეიდერსი-დანგანონი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 240 | სერვეტი-ლოზანა | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 8 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 242 | მანტოვა-ვიჩენცა | 2.10 | 2.80 | 3.80 | 1.20 | 1.35 | 1.61 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 365 | სეტუბალი-მარიტიმუ | 2.10 | 3.20 | 3.50 | 1.26 | 1.31 | 1.67 |
| | | სლოვაკეთი. 1 ლიგა | | | | | | |
| | | 8 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 377 | არტმედია-ტრნავა | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 401 | ფალკენბერგი-ლანდსკრონა | 2.30 | 3.30 | 2.80 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 21:00 | 402 | იორგრიტე-ენჩიოპინგი | 1.40 | 4.50 | 7.00 | 1.06 | 1.16 | 2.73 |
| | | ირლანდია. პრემიერ დივიზიონი | | | | | | |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:00 | 419 | შემროკი-ბრეი | 1.80 | 3.30 | 4.50 | 1.16 | 1.28 | 1.90 |
| | | ირლანდია. 1 დივიზიონი | | | | | | |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 427 | ატლონე-ფინგალი | 3.50 | 3.20 | 2.05 | 1.67 | 1.29 | 1.24 |
| | | აშშ. MLS | | | | | | |
| | | 10 ოქტომბერი | | | | | | |
| 06:00 | 433 | ხოლტ ლეიკი-ნიუ იორკი | 2.05 | 3.20 | 3.60 | 1.24 | 1.30 | 1.69 |
| | | ბრაზილია. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 9 ოქტომბერი | | | | | | |
| 05:00 | 449 | ფიგუეირენსე-პალმეირასი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| 05:00 | 450 | გრემიო-სანტოსი | 1.55 | 3.50 | 6.50 | 1.07 | 1.25 | 2.27 |
| 05:00 | 451 | სპორტ რისიფე-ვასკუ და გამა | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| | | 10 ოქტომბერი | | | | | | |
| 03:30 | 452 | ბოტაფოგო-ვიტორია | 1.60 | 3.60 | 5.50 | 1.10 | 1.23 | 2.17 |
| 03:30 | 453 | კრუზეირო-იპატინგა | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 03:30 | 454 | სან პაულუ-ნაუტიკო | 1.30 | 4.70 | 10.00 | 1.01 | 1.15 | 3.19 |
| | | ფუტზალი მჩ 2008 ბრაზილია | | | | | | |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:30 | 723 | გვატემალა-ჩინეთი | 1.25 | 6.00 | 6.00 | 1.03 | 1.03 | 3.00 |
| 17:30 | 724 | გვატემალა-1.5-ჩინეთი1.5 | 1.60 | 2.00 | | | | |
| 17:30 | 725 | გვატემალა-ჩინეთი 5,5 | 2.00 | 1.60 | | | | |
| 17:30 | 726 | ჩეხეთი-ლიბია | 1.25 | 6.00 | 6.00 | 1.03 | 1.03 | 3.00 |
| 17:30 | 727 | ჩეხეთი-1.5-ლიბია1.5 | 1.60 | 2.00 | | | | |
| 17:30 | 728 | ჩეხეთი-ლიბია 5,5 | 2.00 | 1.60 | | | | |
| 19:30 | 729 | ირანი-ურუგვაი | 1.70 | 4.50 | 3.00 | 1.23 | 1.08 | 1.79 |
| 19:30 | 730 | ირანი-1.5-ურუგვაი1.5 | 2.20 | 1.50 | | | | |
| 19:30 | 731 | ირანი-ურუგვაი 5,5 | 2.00 | 1.60 | | | | |
| 19:30 | 732 | უკრაინა-ეგვიპტე | 1.70 | 4.50 | 3.00 | 1.23 | 1.08 | 1.79 |
| 19:30 | 733 | უკრაინა-1.5-ეგვიპტე1.5 | 2.10 | 1.50 | | | | |
| 19:30 | 734 | უკრაინა-ეგვიპტე 5,5 | 2.00 | 1.60 | | | | |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მჩ. შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 61 | შოტლანდია-ნორვეგია | 2.00 | 3.10 | 3.60 | 1.21 | 1.28 | 1.66 |
| 18:00 | 62 | ფინეთი-აზერბაიჯანი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 18:00 | 63 | ფინეთი-აზერბაიჯანი 0:1 | 1.50 | 3.60 | 3.65 | | | |
| 22:30 | 64 | პოლონეთი-ჩეხეთი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 22:15 | 65 | სერბეთი-ლიტვა | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 19:00 | 66 | ფარერები-ავსტრია | 16.00 | 7.20 | 1.10 | 4.96 | 1.02 | 1.00 |
| 19:00 | 67 | ფარერები-ავსტრია 1:0 | 6.10 | 4.50 | 1.20 | | | |
| 19:45 | 68 | შვეიცარია-ლატვია | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 20:15 | 69 | ინგლისი-ყაზახეთი | 1.05 | 8.50 | 30.00 | 1.00 | 1.01 | 6.62 |
| 20:15 | 70 | ინგლისი-ყაზახეთი 0:1 | 1.15 | 5.00 | 8.50 | | | |
| 20:30 | 71 | უელსი-ლიხტენშტაინი | 1.10 | 7.20 | 18.00 | 1.00 | 1.03 | 5.14 |
| 20:30 | 72 | უელსი-ლიხტენშტაინი 0:1 | 1.20 | 4.50 | 6.00 | | | |
| 21:00 | 73 | უკრაინა-ხორვატია | 2.35 | 3.10 | 2.85 | 1.33 | 1.28 | 1.48 |
| 22:40 | 74 | რუმინეთი-საფრანგეთი | 2.90 | 3.20 | 2.35 | 1.52 | 1.29 | 1.35 |
| 21:45 | 75 | უნგრეთი-ალბანეთი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 22:00 | 76 | შვედეთი-პორტუგალია | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| 22:00 | 77 | თურქეთი-ბოსნია | 1.40 | 4.00 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.60 |
| 22:00 | 78 | თურქეთი-ბოსნია 0:1 | 1.90 | 3.50 | 2.70 | | | |
| 22:15 | 79 | ლუქსემბურგი-ისრაელი | 10.00 | 5.00 | 1.25 | 3.33 | 1.11 | 1.00 |
| 22:15 | 80 | ლუქსემბურგი-ისრაელი 1:0 | 3.60 | 3.60 | 1.60 | | | |
| 22:00 | 81 | დანია-მალტა | 1.05 | 10.00 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 6.66 |
| 22:00 | 82 | დანია-მალტა 0:1 | 1.15 | 5.00 | 8.50 | | | |
| 22:15 | 83 | ბულგარეთი-იტალია | 4.20 | 3.30 | 1.80 | 1.84 | 1.25 | 1.16 |
| 22:30 | 84 | საბერძნეთი-მოლდოვა | 1.20 | 6.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.75 |
| 22:30 | 85 | საბერძნეთი-მოლდოვა 0:1 | 1.50 | 3.70 | 4.00 | | | |
| 22:30 | 86 | სან მარინო-სლოვაკეთი | 25.00 | 8.30 | 1.06 | 6.23 | 1.01 | 1.00 |
| 22:30 | 87 | სან მარინო-სლოვაკეთი 1:0 | 8.00 | 5.00 | 1.15 | | | |
| 22:45 | 88 | სლოვენია-ჩრ. ირლანდია | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 22:45 | 89 | ბელგია-სომხეთი | 1.20 | 5.40 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.72 |
| 22:45 | 90 | ბელგია-სომხეთი 0:1 | 1.50 | 3.70 | 4.10 | | | |
| 22:45 | 92 | ესტონეთი-ესპანეთი 1:0 | 4.00 | 3.70 | 1.50 | | | |
| 22:45 | 93 | გერმანია-რუსეთი | 1.75 | 3.30 | 5.00 | 1.14 | 1.29 | 1.98 |
| 22:45 | 94 | ჰოლანდია-ისლანდია | 1.15 | 6.30 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.24 |
| | | ინგლისი. თასი | | | | | | |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 460 | ჩესტერი-მორქემბი | 2.25 | 3.30 | 3.00 | 1.33 | 1.28 | 1.57 |
| 22:00 | 461 | პიტერბრო-დაგენემი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 22:00 | 462 | უიკომბი-შრიუსბერი | 2.30 | 3.40 | 2.80 | 1.37 | 1.26 | 1.53 |
| 22:45 | 463 | სქანთორპი-გრიმსბი | 1.50 | 3.80 | 7.00 | 1.07 | 1.23 | 2.46 |
| 22:45 | 464 | ბრაიტონი-ლეიტონი | 2.00 | 3.40 | 3.50 | 1.25 | 1.27 | 1.72 |
| 22:45 | 465 | ბერი-სტოკპორტი | 2.50 | 3.40 | 2.60 | 1.44 | 1.27 | 1.47 |
| 22:45 | 466 | ჩელტენემი-უოლსოლი | 2.60 | 3.20 | 2.60 | 1.43 | 1.29 | 1.43 |
| 22:45 | 467 | დარლინგტონი-ჰადერსფილდი | 2.50 | 3.30 | 2.65 | 1.42 | 1.28 | 1.46 |
| 22:45 | 468 | ჯილინგემი-კოლჩესტერი | 2.50 | 3.30 | 2.55 | 1.42 | 1.26 | 1.43 |
| 22:45 | 469 | ჰერეფორდი-სუინდონი | 2.50 | 3.30 | 2.60 | 1.42 | 1.27 | 1.45 |
| 22:45 | 470 | ლუტონი-ბრენტფორდი | 2.35 | 3.40 | 2.65 | 1.38 | 1.24 | 1.48 |
| 22:45 | 471 | დონსი-ბორნმუთი | 1.60 | 3.50 | 6.00 | 1.09 | 1.26 | 2.21 |
| 22:45 | 472 | როჩდეილი-კარლაილი | 2.65 | 3.40 | 2.40 | 1.48 | 1.25 | 1.40 |
| | | 8 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 473 | როტერჰემი-ლიდსი | 3.50 | 3.40 | 2.00 | 1.72 | 1.27 | 1.25 |
| | | ესპანეთი. თასი | | | | | | |
| | | 8 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 805 | სელტა-სოსიედადი | 2.65 | 3.00 | 2.50 | 1.40 | 1.28 | 1.36 |
| 23:00 | 806 | ვალეკანო-ალბასეტე | 2.10 | 3.10 | 3.50 | 1.25 | 1.31 | 1.64 |
| 22:30 | 807 | პონფერადინა-ლას პალმასი | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 22:00 | 808 | ორიუელა-ტოლედო | 1.70 | 3.40 | 4.55 | 1.13 | 1.23 | 1.94 |
| 22:00 | 809 | გრანადა 74-ბენიდორმი | 2.05 | 3.10 | 3.50 | 1.23 | 1.29 | 1.64 |
| 22:00 | 810 | უნიონი-ბარაკალდო | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 22:00 | 811 | მელილია-ეხიდო | 2.50 | 3.10 | 2.70 | 1.38 | 1.29 | 1.44 |
| 22:00 | 812 | ერკულესი-ხირონა | 1.75 | 3.20 | 4.60 | 1.13 | 1.26 | 1.88 |
| 23:30 | 813 | ელჩე-ტენერიფე | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 22:00 | 814 | სალამანკა-კასტელონი | 2.20 | 3.10 | 3.25 | 1.28 | 1.31 | 1.58 |
| 22:00 | 815 | პორტუგალეტე-ბენიტო | 2.20 | 3.10 | 3.00 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| | | პოლონეთი. თასი | | | | | | |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 48 | ლახია-იაგელონია | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**



1976 წელს აწ განსვენებულმა სარაგბო მწვრთნელმა რეზო ჩხეიძემ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებისგან შეკრა გუნდი, რომელიც ჯერ უნივერსიადებში თამაშობდა და შემდეგ უკვე საქართველოს ჩემპიონატში არაერთი ტიტული მოიგო. დაარსებიდან გუნდს „სამედიცინო" ერქვა, 1990 წლიდან კი „თბილისის" სახელით გამოდიოდა ეროვნულ ჩემპიონატში. „თბილისმა" 1995 წლამდე იარსება და ქართული სარაგბო სამყაროდან მას შემდეგ გაუჩინარდა, რაც ქვეყნის პირველობაზე მე-3 ადგილი დაიკავა. წელს ამ ძირძველი გუნდის სხვადასხვა თაობის ვეტერანთა თაოსნობით აღდგა კლუბი „თბილისი" და, როგორც მისმა ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მიხეილ ბურძგლამ გვითხრა, ქართულ „ოვალურ" სივრცეში აქტიურ მოღვაწეობას აპირებს...

# ძველი და ახალი თბილისი ძველი და ახალი სახეებით
## კლოდ სორელი სიაშია

— თუ შეიძლება, მოგვიყევით კლუბის ისტორიის შესახებ...

— 1976 წელს სამედიცინო ინსტიტუტის ბაზაზე ძალიან კარგმა მწვრთნელმა და პიროვნებამ რეზო ჩხეიძემ, სარაგბო გუნდი შეკრიბა. გუნდი სტუდენტურ ჩემპიონატებზე გამოდიოდა. მაშინ უნივერსიადებზე მაღალი სარაგბო დონე იყო და მოწინავე პოზიციების დაკავება დიდი სირთულეს წარმოადგენდა. 1981 წელს „სამედიცინო" პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი. 1987 წელს გუნდმა შედეგი ისევ გაიმეორა. დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ჩემპიონატში კლუბი „თბილისის" სახელით გამოვიდა. 1992 წელს პირველი ლიგა მოიგო, ერთი წლის გამოტოვების შემდეგ კი უმაღლეს ლიგაშიც იჩემპიონა. 1995 წელს ეროვნულში მე-3 ადგილი დაიკავა და იმ დროს საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო შეწყვიტა არსებობა.

— რას აპირებს ხელმეორედ სარაგბო სამყაროში მოსული კლუბი „თბილისი". ხომ არ გეგმავთ კაცთა გუნდის ჩამოყალიბებას და ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობას?

— არა, საქართველოს ჩემპიონატში გამოსვლას ჯერ არ ვაპირებთ. ჩვენი პრიორიტეტი ბავშვთა რაგბი იქნება. კლუბმა გამოაცხადა 6-დან 13 წლამდე მოზარდების მიღება, ჩვენი კლუბის წევრები ეროვნულ რაგბიში კარგად ჩახედულები არიან, ისინი თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას ბავშვთა რაგბის მოახმარენ.

— ვინ არიან კლუბ „თბილისის" წევრები?

— მიხეილ რობიტაშვილი, ბიძინა გეგიძე, კლოდ სორელი, გია კუბლაშვილი, ზაზა ქასაშვილი, არჩილ გოგსაძე, გიორგი შენგელია, ირაკლი სიხარულიძე, ლაშა თურქიაშვილი, შოთა ქავთარაძე, გელა გიორგაძე და მე. ყველა წევრს სხვადასხვა ფუნქცია აკისრია. მაგალითად, მე სპორტული მხარე მეხება, ანუ ბავშვების მომზადებაში ვიქნები ჩართული.

— დამფუძნებლებში კლოდ სორელიც არის. მას რა ფუნქცია აკისრია?

— სხვებმა ყველამ მეტ-ნაკლებად იციან, მომავალში რას გააკეთებენ. კლოდის შემთხვევაში ჯერ ბოლომდე ჩამოყალიბებულები არ ვართ. სორელმა თვითონ გამოთქვა ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი. ის ალბათ წამყვანი უცხოური სარაგბო სკოლების სავარჯიშო მეთოდოლოგიების დანერგვაში დაგვეხმარება. ასევე საზღვრებს გარეთ კომუნიკაციებში ფასდაუდებელ სამსახურს გაგვიწევს.

— ხომ ვერ გვეტყვით, კონკრეტულად რას გულისხმობს ეს ყველაფერი?

— უცხოურ კლუბებთან საერთო ვარჯიშებს, საზღვგარეთ შეკრებების მოწყობას, მწვრთნელთა სტაჟირებას...

— თქვენი კლუბის აქტიურობა ალბათ უფრო ბავშვთა შემოდინებაზე იქნება დამოკიდებული...

— რა თქმა უნდა. ჩვენ უკვე დავიწყეთ სხვადასხვა პიარ აქციები. დავდივართ სკოლებში, ვცდილობთ, ბავშვები დავაინტერესოთ რაგბით. გვინდა, რომ ყველა ასაკის ბავშვებში გუნდი გავაკეთოთ. ჩვენ არ ვაპირებთ, მაგალითად, 6-დან 8 წლამდე ბავშვების ერთ გუნდში გაერთიანებას.

— რაგბის კავშირმა თუ იცის თქვენი გეგმების შესახებ? რამე სახის დახმარება ხომ არ შემოუთავაზებიათ?

— ჩვენგან ოფიციალური მიმართვა ჯერ არ ყოფილა. გეგმების შესახებ პირადი საუბრებიდან იციან და დახმარებას დაგვპირდნენ.

**ზურაბ მიგრიაული**

# ელიტარული ქართველების უიქენდური ამბები

**საფრანგეთის** ელიტარულ ლიგაში, ტოპ-14-ში ამ უქმეებზე მეშვიდე ტურის მატჩები გაიმართა, რომელშიც ექვსმა ქართველმა ლეგიონერმა ითამაშა. ირაკლი გიორგაძის „დაქსმა" მეორედ მოიგო ბასკური დერბი — ორი კვირის წინ მასზე გაცილებით სოლიდური „ბიარიცის" ძლევის შემდეგ „დაქსმა" ჩაროზად „ბაიონაც" დააყოლა. „ბაიონამ", რომელშიც შარშანდელ სეზონში ავთანდილ კოპელიანი ირჯებოდა, მატჩის დასაწყისში თქვა სათქმელი — მეორე წუთზე რემი მარტინმა ლელო გაიტანა. შინ მოთამაშე „დაქსისთვის" სტუმართა კადნიერი საქციელი მეტისმეტად მტკივნეული აღმოჩნდა და მათაც ერთმანეთზე მიწყობილი სამი ლელო დადეს. ირაკლი გიორგაძის თანაგუნდელებმა თავიანთი 27 ქულა მატჩის პირველივე ნახევარში გააკეთეს. სტუმრებმა კი მეორე ტაიმში მხოლოდ ერთი ლელოთი უპასუხეს. ამ გამარჯვებით „დაქსი" ნელ-ნელა აღწევს თავს გასავარდნ ზონას, ხოლო ბოლოდროინდელი კარგი თამაშით, სკეპტიკოსთა აზრის საწინააღმდეგოდ, ამტკიცებს, რომ მისი „ჩამოწერა" ჯერ ნაადრევია. რაც შეეხება თავად ირაკლი გიორგაძეს, ის ტრავმირებულია.

„დაქსმა" გია ლაბაძის „ტულონსაც" გადაასწრო. ჩვენებურის გუნდს პრობლემები რომ აქვს, ეს ცხადზე უცხადესია. ვარსკვლავებით სავსე „ტულონს", რომლის მთავარი მწვრთნელი ტანა უმაგაა, ასისტირებას კი ჟან-ჟაკ კრენკა უწევს, ვერაფრით უპოვია საკუთარი თამაში. მედიაში მათ გარშემო დიდი ამბებია ატეხილი, მწვრთნელები კი უიღბლობას იმიზეზებენ, აქაოდა, „ბრივთან" და „სტად-ფრანსესთან" მცირე სხვაობით წავაგეთო, „ტულონმა" წინა ტურში „ბაიონასთანაც" მცირე სხვაობით, ოთხი ქულით დათმო შეხვედრა და მეშვიდე მატჩში რომ გასვლას ვერ მოუგებდა „პერპინიანს", საკმაოდ ადვილად პროგნოზირებადი იყო. გია ლაბაძის გარეშე „ტულონი" შეშინებული თამაშობდა, კატალონიელები კი ყველაფერს აკეთებდნენ — სამი ლამაზი და ერთი ტუქნიკური ლელო, ტერიტორიული უპირატესობა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მასპინძლებს თამაში ბონუს ქულით მოეგოთ და ორ ქულამდე შეემცირებინათ სხვაობა მეორეადგილოსან „ტულუზთან", რომელთაც წინა ტურში მარცხი იგემეს.

აღსანიშნავია ის, რომ მესამეოცე წუთიდან ამ თამაშში „ტულონში" ახლახან გადასული, ახალგაზრდა ბურჯი დავით ქუბრიაშვილი ჩაერთო.

ქართველების გუნდთაგან ყველაზე წარმატებული „კლერმონია". დათო ზირაქაშვილი „ვულკანების" ძირითადის წევრია და ბოლო ტურში სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო და 45-ე წუთზე შეცვალეს. ამან არავინ არ უნდა გააკვირვოს, თანამედროვე რაგბიში შერკინების ბურჯების მალიმალ შეცვლა თითქმის ტრადიციად დამკვიდრდა. „ბურგუენთან" გასვლითი მატჩი უმძიმესი გამოდგა. თამაში ქულა ქულაში მიდიოდა და მასპინძლებს რომ დრო ჰქონოდათ, იქნებ ანგარიშში ეჯობნათ კიდეც „ზირაქას" გუნდისთვის. „კლერმონი" გააფთრებით იცავდა საკუთარ ლელოს. ზედმიწევნით ორგანიზებულ დაცვას, მატჩის ბოლოს ლელო მაინც გამოეპარა, თუმც „ბურგუენს" მეტი აღარაფერი გამოუვიდა. მასპინძლებმა მხოლოდ და მხოლოდ ერთი ბონუს ქულა (შვიდი და ნაკლები ქულით წაგებისთვის) ჩაიწერეს, ხოლო „კლერმონმა" ამ სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა სტუმრად. „ვულკანებს" მომდევნო უქმეებზე მკაცრი გამოცდა ელით — ისინი „ჰაინეკენის თასზე" ინგლისურ „სეილს" დაუპირისპირდებიან.

სამი ქართველის „მონტობანი" გასვლაზე ტორნადოსა და ტაიფუნივით გავეშებულ „სტად-ფრანსეს" ეთამაშა. ბექა შეყლაშვილი და გიორგი მჭედლიშვილი შემადგენლობაში არ იყვნენ. გოდერძი შველიძემ კი სასტარტოში დაიწყო და მოედანზე 58 წუთი დაჰყო. პარიზელებისთვის „მონტობანი" უხერხული მეტოქეა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ მატჩის დასაწყისი „გაქაჩეს". ერთხანს ანგარიში 9:9-ზე შეჩერდა. თუმცა „სტად-ფრანსე" მალევე ჩაირთო და ველარც გააჩერეს. გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა შვიდიდან მეშვიდე მოიგო, პრემიაც მიითვალა და მდევრებს კარგა დიდი სხვაობითაც უსწრებს.

„ბიარიცთან" მხოლოდ სამი ქულა გაახერხა მამუკა გორგოძის „მონპელიემ". ბასკებიდან პირველი ლელო დამიენ ტრაიმ დადო მატჩის მეექვსე წუთზე. მანვე მეორე ტაიმში მატჩის მეხუთე ლელოც გაიტანა. საერთო ჯამში მასპინძლებმა ექვსი ლელოთი „დაასაჩუქრეს" სტუმრები. გორგოძე 55-ე წუთზე შეცვალეს.

უსახურად ითამაშა აქვსენტი გიორგაძის „კასტრმა". განსაკუთრებით დაცვაში ცუდი თამაშია მიზეზი, რომ „კასტრი" მხოლოდ და მხოლოდ რვა ქულით ბოლოსწინა ადგილზეა. მეშვიდე ტურის მატჩში „ტულუზთან" შინ მოთამაშე „კასტრი" უშანსოდ იყო. მართალია, სტუმრები არ ბრწყინავდნენ, რასაც ხელი კოკისპირულმა წვიმამაც შეუწყო, მაინც იოლ გამარჯვებას მიაღწიეს.

**ნიკა ქოპაძე**



ჩოგბურთი

# ტატიშვილმა ტროა დაჩოგნა

## ქართველი ჩოგბურთელის რეიტინგული ნახტომი



**18 წლის** ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა კარგად დაწყებული საქმე კარგად დაასრულა და აშშ-ს ქალაქ ტროაში 50 ათას დოლარიანი საჩოგბურთო ტურნირი მოიგო.

ანა ოთხი გამარჯვების შემდეგ ფინალში ბრიტანელ ჯიორჯი სტუპის დაუპირისპირდა, ვინც თავის მხრივ მეორე წრიდან ტურნირს პირველი ნომერი, მასპინძელი ჯული დიტი დაიფრინა.

ქართველის და ბრიტანელის მატჩი დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ანამ ორ სეტში 7:6 6:4 მოიგო და ტურნირის გამარჯვებული გახდა, სადაც მას მნიშვნელოვანი სარეიტინგო ქულებიც მოუტანა. ტატიშვილი 162-ე ჩოგანი გახდა ახალი რეიტინგის მიხედვით.

ისიც ვთქვათ, რომ ტროაში ქართველი წყვილებშიც ჩოგნაობდა და ნახევარფინალსაც უწია ამერიკელ ბრენგლესთან ერთად, იქ კი მასპინძელ ჰეინსისა და ინდოელ რაოს ტანდემთან 2:6 4:6 წააგო.

**ნიკა კოპაძე**

ძიუდო

საქართველოს ძიუდოისტ ქალთა ნაკრები გორში, გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზში, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის ემზადება. ეს ტურნირი ტაილანდში 23-25 ოქტომბერს გაიმართება და მასში ოთხი ქართველი ფალავანი ქალი იჭიდავებს — 48 კილოგრამ წონით კატეგორიაში ნაირა ვეშაგური, 52-ში მაია ტურაშვილი, 63-ში თინათინ ქულუსაშვილი, 72-ში ნინო ოძელაშვილი.

გორული შეკრების პირველი ეტაპი გუშინ დასრულდა. მცირე შესვენების შემდეგ გია თენაძის მონაფეები ისევ გააგრძელებენ ვარჯიშს. აღსანიშნავია, რომ გასულ ევროპის ჩემპიონატზე ნინო ოძელაშვილმა ნახევარფინალში იჭიდავა და მხოლოდ გაფრთხილებით წააგო. თენაძეს მსოფლიოს ჩემპიონატზე ოძელაშვილის ძალიან ეიმედება. ვნახოთ, რა როგორ იქნება. იქამდე კი გია თენაძე წინასაჩემპიონატო მოსამზადებელ ეტაპზე გვესაუბრა...

# გამოცდილი ქალები სიურპრიზებს გვპირდებიან

— რამდენი ხანია, რაც შეკრება დაიწყეთ და კმაყოფილი ხართ თუ არა ვარჯიშებით?

— კვირაზე მეტია, რაც გორში ვიმყოფებით. მშვენიერი მოსამზადებელი ეტაპი გავიარეთ. ჩემი შეგირდებით ძალიან კმაყოფილი ვარ. ისინი თავს არ ზოგავენ და ძალიან მონდომებულები არიან.

— როგორ ფიქრობთ, ტაილანდში მედლის მოპოვების შანსი გვექნება?

— გოგონები კარგ ფორმაში არიან. ნინო ოძელაშვილს ევროპის ჩემპიონატზე მედლამდე მცირედი დააკლდა. ვფიქრობ, იგი ტაილანდშიც მედლისთვის იბრძოლებს. სიურპრიზებს ველი თინათინ ქულუსაშვილისგანაც. მოკლედ, ჩემმა გოგონებმა საკმარისი გამოცდილება დააგროვეს და ახლა შედეგიც უნდა მივიღოთ.

**ზურაბ მიგრიაული**

კალათბურთი

# სეზონი რუსთავში დადიანით იწყება

დღეს დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირი დაიწყება, რომელიც მეშვიდე წელია, იმართება. ტურნირს 7-დან 10 ოქტომბრამდე რუსთავის საკალათბურთო დარბაზი უმასპინძლებს. გუშინ კი სამამბოდ ტურნირზე მონაწილე ყველა გუნდის მწვრთნელმა პრესკონფერენციაზე ისაუბრეს.

**A ჯგუფი**

**სსუ, ავიამშენი, მაძაბი**

**B ჯგუფი**

**დინამო, ენერჯი, თსუ, ნტდ**



პრესკონფერენციაზე

*დავით უსტიაშვილი, „ენერჯი ინვესტის“ მწვრთნელი:* აქტიურად ვემზადებით ტურნირისთვის. უკვე ჩამოვიდა ორი სერბი კალათბურთელი. ხვალ გამთენიას ამერიკელი ლეგიონერი ჩამოდის. ეს ტურნირი დაგვეხმარება „ფიბას“ ევროთასზე წარმატების მიღწევაში, რომლის პირველი თამაში 14 ოქტომბერს ჩატარდება. დუდუ დადიანის მემორიალზე კი მოპოვებული გამარჯვების შენარჩუნებას ვეცდებით.

*მიხეილ კობეშავიძე, სახელმწიფო საავიაციო უნივერსიტეტის მწვრთნელი:* ჩვენი გუნდი ახალი ჩამოყალიბებულია, ამ ტურნირში პირველად ვმონაწილეობთ. აქცენტი ახალგაზრდა მოთამაშეებზეა გადატანილი. უბრძოლველად არაფერს დავთმობთ.

*ზაზა ცაგარეიშვილი, „დინამოს“ მწვრთნელი:* „დინამოს“ შემადგენლობა თითქმის მთლიანად შეიცვალა, შარშანდელი შემადგენლობიდან მხოლოდ სამი კალათბურთელი დაგვრჩა. ყოველთვის მებრძოლი გუნდი ვიყავით და ახლაც ბოლომდე დავიხარჯებით. ყველაფერს გავაკეთებთ გამარჯვებისთვის.

*ჯამლეთ ხუხაშვილი, „მაძაბის“ მწვრთნელი:* მთლიანად შევცვალეთ გუნდის შემადგენლობა, შარშანდელი ბირთვისგან აღარავინ დარჩა. შარშან დუბლების ჩემპიონატში რომელი კალათბურთელებიც გამოდიოდნენ, წელს უკვე მთავარი გუნდის შემადგენლობაში არიან, ძირითად აქცენტიც მათზე გადავიტანეთ. გუნდში არ ითამაშებს გიორგი შერმადინი, რომელიც სრული დატვირთვით ვარჯიშობს და ემზადება უცხოეთში წასასვლელად.

*ლევან მოსეშვილი, „თბილავიამშენის“ მწვრთნელი:* გვინდა, დუდუ დადიანის მემორიალზე კარგი შედეგი ვაჩვენოთ. ორჯერ უკვე მოვიგეთ და შევეცდებით, წელსაც მოვიპოვოთ გამარჯვება. გუნდში რამდენიმე მოთამაშე დავიმატეთ: ანატოლი ბოისა და ვატო ნაცვლიშვილი, საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი. მათი დამატება დიდი პლუსია ჩვენი გუნდისთვის.

*ნუგზარ ჭეიშვილი, თსუ-ს მწვრთნელი:* რამდენიმე კვირაა, ვემზადებით. მოთამაშეები ნელ-ნელა ფორმაში შედიან, დავიმატეთ გიორგი მარკოიშვილი. ზოგადად კი ძირითადი ბირთვი შენარჩუნებულია. ვეცდებით, კარგად ვითამაშოთ. ეს ტურნირი ჩემპიონატისათვის მომზადებაში გამოგვადგება.

*ნუგზარ კანდელაკი, ნტდ-ს მწვრთნელი:* ნტდ ახალი შექმნილი ქართულ-აზერბაიჯანული კლუბია. ტურნირზე ითამაშებს აზერბაიჯანის ნაკრების ოთხი წევრი. ვარჯიშები უკვე დავიწყეთ, გვაქვს პოტენციალი და კონკურენტუნარიან გუნდად ჩამოყალიბებას ვაპირებთ.

**სალომე ბლდიაშვილი**

**7 ოქტომბერი**

13.00 საათი

**ავიამშენი — მაძაბი**

15.00 საათი

**დინამო — ნტდ**

17.00 საათი

**ენერჯი-ინვესტი — თსუ**

**8 ოქტომბერი**

13.00 საათი

**მაძაბი — სასოფლო**

15.00 საათი

**თსუ — ნტდ**

17.00 საათი

**ენერჯი-ინვესტი — ნტდ**

**10 ოქტომბერი**

13.00 საათი

**მე-5 ადგილისთვის**

15.00 საათი

**მე-3 ადგილისთვის**

17.00 საათი

**ფინალი**



გიორგი ცინცაძე

# ქართველი როკერების პირველი გამარჯვება

**გასული** უქმეები საკმაოდ საინტერესო იყო ქართული ლეგიონისათვის. ჩვენი კალათბურთელები ინდივიდუალური თვალსაზრისით საკმაოდ კარგად გამოიყურებოდნენ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ტარტუს „როკის“ ქართველების — გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის თამაში.

მათი გუნდი ბალტიის თასის გათამაშებაში „ლიეტუვოს რიტასს“ ეთამაშა და ყველასთვის მოულოდნელად ადვილად დაამარცხა.

აღნიშნული დუეტის გარდა დღეს ვლადიმერ ბოისას „ვივემენორკასა“ და ტაისონ ელისის „კახასოლზეც“ მოგახსენებთ.

**როკი 79:66 ლიეტუვოს რიტასი**

ამ წყვილში ფავორიტად სტუმრები მიიჩნეოდნენ, თუმცა ყველასთვის მოულოდნელად ესტონელებმა დაამარცხეს მეტოქე. ამაში საკმაოდ სერიოზული წვლილი ქართველმა კალათბურთელებმა შეიტანეს. ძირითადად სწორედ ამ ორმა მოთამაშემ განაპირობა „როკის“ წარმატება.

***გიორგი ცინცაძე:*** *28 წუთი, 15 ქულა, 5 მოხსნა, 5 პასი, 2 ჩაჭრა, 4 დაკარგვა, 1 პერსონალური შენიშვნა, 4-დან 3 ორქულიანი, 2-დან 2 სამქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო.*

***ვიქტორ სანიკიძე:*** *24 წუთი, 14 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება, 3 დაკარგვა, 2 პერსონალური შენიშვნა, 9-დან 6 ორქულიანი, 2-დან 0 სამქულიანი, 6-დან 2 საჯარიმო.*

**ვივემენორკა 77:79 ტაუ კერამიკა**

ესპანური და საერთოდ ევროპული კალათბურთის ერთ-ერთ გამორჩეულ გუნდთან შეხვედრაში შედგა ვლადიმერ ბოისას დებიუტი ესპანეთის ჩემპიონატში. უნდა ითქვას, რომ დებიუტი არცთუ ისე წარმატებული გამოვიდა, მაგრამ მთავარია, რომ გუნდის ხელმძღვანელობა ქართველ კალათბურთელს ენდობა, რაც ძალიან კარგად ჩანს.

***ვლადიმერ ბოისა:*** *23 წუთი, 2 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 2 პერსონალური შენიშვნა, 2-დან 1 ორქულიანი, 2-დან 0 სამქულიანი.*

**კახასოლი 68:69 რიკოჰ მანსერა**

არც ტაისონ ელისის გუნდს გაუმართლა კვირას. მისმა გუნდმაც მინიმალური სხვაობით დათმო მატჩი, თუმც, ბოისასგან განსხვავებით, ელისი გუნდისთვის გაცილებით სასარგებლო იყო.

***ტაისონ ელისი:*** *25 წუთი, 15 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 4 პერსონალური შენიშვნა, 2-დან 1 ორქულიანი, 6-დან 4 სამქულიანი, 1-დან 1 საჯარიმო.*

**გიორგი არაბული**

# სარეიტინგო ადი-ჩადი




ანა ტატიშვილმა, რომელმაც კვირას ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ტროას 50 ათასიანი ტურნირი მოიგო, WTA-ს რეიტინგში 26 ნაბიჯით წაიწია და კარიერის უმაღლეს, 162-ე საფეხურს უწია.

მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მდგომარეობა სოფო შაფათავამაც, რომელმაც გასულ კვირაში WTA-ტურის ევიდით პირველი მატჩი მოიგო კარიერაში (ეს ტაშკენტში მოხდა) და ამის წყალობით კლასიფიკაციაში 277-ე ადგილიდან 258-ზე აიწია.

მთელი 60 პოზიცია მოიგო სოფო ქვაცაბაიამ, თუმც ქვაცაბაიაც და შაფათავაც ჯერაც ჩამორჩებიან კარიერის საუკეთესო ადგილებს.

კაცთა ამბებიდან ნიკოლოზ ბასილაშვილის წინსვლა გამოვყოთ — ATP-ის რეიტინგში ერთი კვირის წინ გამოჩენილმა ჭაბუკმა ქართველმა 84 საფეხურით მაღლა აიწია.

სხვა მხრივ, რეიტინგში, ისევე როგორც ერთი კვირის წინ, კლავაც 17 ჩვენებურია — 7 კაცი და 10 ქალი.

| | |
|---|---|
| **კაცები** | |
| 539 (-2) ირაკლი ლაბაძე | 48 |
| 929 (+1) ლაზარე კუხალაშვილი | 11 |
| 1200 (0) ლადო ჩიხლაძე | 4 |
| 1237 (+1) ნოდარ ითონიშვილი | 4 |
| 1308 (+84) ნიკოლოზ ბასილაშვილი | 3 |
| 1562 (+3) ბექა ბუჩუკური | 1 |
| 1650 (0) დემეტრე თაქთაქიშვილი | 1 |
| **ქალები** | |
| 162 (+26) ანა ტატიშვილი | 195 |
| 213 (+4) მაკა ჩახნაშვილი | 136 |
| 258 (+19) სოფო შაფათავა | 107 |
| 560 (-63) ოქსანა კალაშნიკოვა | 27 |
| 664 (-62) თინა ყავლაშვილი | 18 |
| 668 (-3) მანანა შაფაქიძე | 18 |
| 671 (+60) სოფო ქვაცაბაია | 18 |
| 738 (-35) სალომე დევიძე | 14 |
| 771 (-32) ეკა გორგოძე | 12 |
| 897 (+35) სოფო მელიქიშვილი | 8 |

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 70000 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 5930 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 4960 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 2995 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2400 |
| 6. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2315 |
| 7. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1975 |
| 8. ენდი როდიკი (აშშ) | 1970 |
| 9. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 1685 |
| 10. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 1670 |
| 11. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1650 |
| 12. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1645 |
| 13. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 1440 |
| 14. ივო კარლოვიჩი (ხორვატია) | 1420 |
| 15. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1415 |
| 16. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 1410 |
| 17. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 1390 |
| 18. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 1305 |
| 19. იგორ ანდრეევი (რუსეთი) | 1260 |
| 20. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1255 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 1265 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 921 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 899 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 520 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 417 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 354 |
| 7. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 337 |
| 8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 309 |
| 9. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 307 |
| 10. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 286 |
| 11. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 279 |
| 12. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 261 |
| 13. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 255 |
| 14-15. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 253 |
| 14-15. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 253 |
| 16. იგორ ანდრეევი (რუსეთი) | 239 |
| 17. მარდი ფიში (აშშ) | 226 |
| 18. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 225 |
| 19. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 221 |
| 20. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 217 |

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 4230 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 4017 |
| 3. დინარა საფინა (რუსეთი) | 3782 |
| 4. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3470 |
| 5. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3288 |
| 6. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3041 |
| 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2920 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2311 |
| 9. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 2182 |
| 10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 2146 |
| 11. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1797 |
| 12. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1747 |
| 13. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1611 |
| 14. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1589 |
| 15. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1570 |
| 16. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) | 1558 |
| 17. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 1534 |
| 18. ფლავია პენეტა (იტალია) | 1510 |
| 19. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 1423 |
| 20. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 1262 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 4355 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 3681 |
| 3. დინარა საფინა (რუსეთი) | 3628 |
| 4. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3040 |
| 5. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2952 |
| 6. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2515 |
| 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2513 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2246 |
| 9. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 2135 |
| 10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 2096 |
| 11. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1594 |
| 12. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1593 |
| 13. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) | 1580 |
| 14. ფლავია პენეტა (იტალია) | 1444 |
| 15. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 1427 |
| 16. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 1426 |
| 17. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1348 |
| 18. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1326 |
| 19. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 1302 |
| 20. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 1225 |

# იანკოვიჩი კენწეროში პორშეთი დაბრუნდა

ელენა იანკოვიჩი ახალთახალი წითელი „პორშეთი“ აგრიალდა რეიტინგის მწვერვალზე. სერბმა შტუტგარტში მოგებით ლამაზად გაიფორმა მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსის დაბრუნება, და თუ ზაფხულში ქალთა ჩოგბურთის კენწეროში მან მხოლოდ ერთი კვირა გაძლო, ახლა მისმა პირველქალობამ სავარაუდოდ გაცილებით დიდხანს უნდა გასტანოს, რადგანაც ელენა სეზონის ბოლოს ბრწყინავლე ფორმაშია.

იანკოვიჩის გაპირველების ამბავი წინა კვირის შუაწელზევე გაცხადდა, როცა სერენა უილიამსმა გერმანიაში ნაადრევად წააგო. მაგრამ, ამის მიუხედავად, სერბს მოტივაცია არ დაუკარგავს და შტუტგარტში მაინც იჩემპიონა. ჰოდა, საპრიზოსთან ერთად ნაჩუქარი ახალთახალი „პორშე“ მასზე ნამდვილად ალალია.

ეს ერთადერთი სერიოზული გადაადგილება იყო, რომელიც განთესვის რეიტინგში მოხდა. ხოლო იმის გამო, რომ სეზონის მიწურულს ყურადღებას უფრო საჩემპიონო რბოლას ვაქცევთ ხოლმე, რადგანაც აქ წლის შემაჯამებელ ტურნირზე გამსვლელი რვა საუკეთესო მეჩოგნის ვინაობა უნდა გაირკვეს, დროა, ჩვენი ყურადღება სწორედ აქეთკენ მივმართოთ.

ქალებით დავიწყოთ, სადაც ყველაფერი საკმაოდ მარტივადაა — უკვე გამოკვეთილია ის რვა ჩოგბურთელი, რომლებსაც თითქმის განაღდებული აქვთ დუბაიში გამოსვლის უფლება. მართალია, ეს პატივი ოფიციალურად ჯერ მხოლოდ იანკოვიჩმა, სერენამ, ანა ივანოვიჩმა, დინარა საფინამ და ელენა დემენტიევამ მოიპოვეს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, დანარჩენ სამს ვინმე დაეწიოს.

მცირეოდენი შანსი ვერა ზვონარიოვასლა აქვს, რომელსაც ჯერ კიდევ შეუძლია ვინუს უილიამსის გასწრება, მაგრამ ამერიკელმა სეზონის დარჩენილი ნაწილი პირწმინდად თუ არ ჩააგდო, რუსს ეს ნაკლებად უნდა გამოუვიდეს. აგნეშკა რადვანასკამ კი შტუტგარტში ყოვლად უკბილო გამოსვლით საბოლოოდ დაკარგა ამ დავაში ჩარევის უფლება.

მეორეს მხრივ კი, ზვონარიოვამ შეიძლება წვალების გარეშე მოახერხოს დუბაის ბილეთის დაბევება — საქმე იმაშია, რომ მარია შარაპოვაზე ახალი არაფერი ისმის. ეგ კი არა, რუსი პრიმას ბოლო ინტერვიუებში აქა-იქ გაისმა, წლეულს შეიძლება აღარ ვითამაშოო და თუ ეს ჭორები გამართლდა, მაშინ ზვონარიოვა ავტომატურად დაიკავებს მაშას ადგილს.

გაცილებით არეული მდგომარეობაა კაცთა შორის, სადაც შანხაიში მოხვედრა გარანტირებული მხოლოდ რაფაელ ნადალს, როჯერ ფედერერსა და ნოვაკ ჯოკოვიჩს აქვთ. ისე, ამ სამეულს ენდი მიურეიც უნდა მივამატოთ, რადგანაც სასწაული უნდა მოხდეს, მას ვინმე დაეწიოს.

სამაგიეროდ, ბოლო კვირებში ულიმლამო თამაშით ფრიად გაირთულა საქმე დავიდ ფერერმა. ესპანელმა პეკინსა და ტოკიოში საწყის წრეებშივე წააგო და ამით მდევრებს მიახლოების საშაულება მისცა. მშვიდად ვერც ენდი როდიკი იქნება, რომელიც არცთუ ბევრით უსწრებს იმავე ფერერს.

აი, ჯეიმს ბლეიკი კი უკვე ფაქტობრივად კეფით უნდა გრძნობდეს მდევართა მწველ სუნთქვას. კვალში კი ამერიკელს იცოცხლეთ, სერიოზული მწევარი ჩასდგომია — არგენტინელი ხუან მარტინ დელ პოტრო უდავოდ სეზონის ერთ-ერთი აღმოჩენა და ბოლო თვეების ყველაზე სტაბილური მეჩოგნეა და ახლა ამერიკელის ადგილს სერიოზულად უმიზნებს. ჩოგბურთელებს სულ ალარაფერი, მხოლოდ ორი სარეიტინგო ქულა აშორებთ და საკმარისია, დელ პოტრომ თავისი ნებისმიერი მომდევნო შეხვედრა მოიგოს, რომ ამერიკელს ადგილს გაუცვლის.

მაგრამ საქმე მხოლოდ დელ პოტროში რომ იყოს, ბლეიკს რა უჭირდა. მის ადგილს კიდევ არც მეტი და არც ნაკლები, 15-მდე ჩოგბურთელი უმიზნებს — საუკეთესო რვა მეჩოგნეს შორის მოხვედრის შანსი ტოპოცდახუთში მყოფ არც ერთ ჩოგბურთელს არ დაუკარგავს.

მართალია, ამათგან ზოგიერთს მეტი შანსი აქვს, ზოგს ნაკლები, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — სეზონის ბოლო თვეები უაღრესად დაძაბული და საინტერესო უნდა გამოდგეს.

**კახა ლომაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

# ცირკი და კლოუნები

## ეკლსტოუნმა ფეტელში ჩემპიონი დაინახა



ბერნი ეკლსტოუნი

**ისტორიაში** პირველი ღამის რბოლის, სინგაპურის ქუჩებში გამართული დიდი პრიზის შემდეგ უქულოდ დარჩენილი „ფერარის" გაბრაზებულმა შეფმა ლუკა დი მონტეძემოლომ სინგაპურულ ეტაპს ცირკი უწოდა, ასეთი ტრასა ფორმულა 1-ს არ ეკადრება, აქ ავარია თუ არ მოხდა და უსაფრთხოების მანქანა თუ არ გამოჩნდა, საინტერესოს არაფერს არ უნდა ველოდოთ და ასეთ შემთხვევაში ეს საპირველფორმულო ობოლა კი არა, ცირკი უფრო გამოდისო.

ფორმულა 1-ის ფაქტობრივი და ყოვლისშემძლე შეფის, ბერნი ეკლსტოუნის პასუხმა არ დააყოვნა. სინგაპურში გამართული ღამის რბოლა სწორედ ეკლსტოუნის იდეა იყო და ასეთი გავლენიანი პიროვნება თავს ადვილად არავის რომ არ დააჩაგვრინებს, ყველასთვის ნათელია.

„თუ „ფერარის" პრეზიდენტი მართალია და სინგაპურის ტრასა ცირკია, მაშინ მას მადლობა უნდა გადავუხადოთ საუკეთესო კლოუნებისთვის" — ბრძანა 77 წლის ეკლსტოუნმა და დი მონტეძემოლოს შეახსენა, რომ სინგაპურის დიდი პრიზი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ „სკუდერიამ" გაახალისა, როდესაც ჯერ იყო და ბოქსებში შესული ფელიპე მასას ბოლიდში მექანიკოსებს ბენზინის შლანგი ჩარჩათ, შემდეგ კი კიმი რაიკონენი მოსახვევში ვერ ჩაჯდა და დამცავ ჯებირს შეასკდა.

„ასეთი სარბოლო უიქენდის შემდეგ „ფერარის" პრეზიდენტის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, ჩავიკეტებოდი და გარეთ ცხვირს არ გამოვყოფდი — განაგრძო ეკლსტოუნმა — თუ მასა ჩემპიონი ვერ გახდება, მან უნდა იცოდეს, რომ ამაში გუნდია დამნაშავე, რადგანაც, რომ არა გუნდის თანამშრომელთა სასაცილომდე უხეში შეცდომა, ფელიპე სინგაპურში რბოლას მოიგებდა".

მოგვიანებით ეკლსტოუნმა კიდევ ერთი განცხადება გააკეთა „ფერარის" პილოტებთან დაკავშირებით და არ დამალა, რომ მასა ყოველთვის მის ფავორიტი იყო: „რაიკონენმა აშკარად გამაწბილა. კიმი ფანტასტიკური მრბოლია, მაგრამ მას თითქოს მოტივაცია აკლია. ასეთ ფონზე მან კონტრაქტი კიდევ ორი წლით გააგრძელა, რაც, ცოტა არ იყოს, გასაკვირია. ფელიპეს რაც შეეხება, დიდი ხანია, ის ჩემი რჩეული გახლავთ და დასაშვების ფარგლებში მაქსიმალურად ვეხმარები. ძალიან დიდი ხნის მანძილზე მას არ აფასებდნენ და მხოლოდ წლეულს მიეცა თავისი შესაძლებლობების რეალურად წარმოჩენის საშუალება".

და ბოლოს, ბერნი ეკლსტოუნის ბოლოდროინდელი გამონათქვამების თემას სებასტიან ფეტელით დავასრულებთ. „ტორო როსოს" ახალგაზრდა მრბოლი სეზონის მეორე ნახევარში დიდებულად გამოიყურება და ბუნებრივია, ეს შეუნიშნავი არც ეკლსტოუნს დარჩა: „კარგად მახსოვს, როგორ მივეცი მას მრბოლის სუპერლიცენზია და სადებიუტო რბოლის წინ რამდენიმე რჩევითაც შევეწიე — ვუთხარი, სიდინჯე გამოეჩინა და მანქანა არ „მოეკლა". ის ისეთი მრბოლია, ბევრი რჩევა და ჩიჩინა ნამდვილად არ სჭირდება, ხოლო მას შემდეგ, რაც მონცაში იტალიის დიდი პრიზი მოიგო, მე დარწმუნებული ვარ, ერთ მშვენიერ დღეს ის მსოფლიოს ჩემპიონი გახდება".

ქახა ლომაძე

# მატეშიცს ტორო როსო აღარ ეთმობა

**ავსტრიელი** ბიზნესმენი დიტრიხ მატეშიცი ერთდროულად ორი საპირველფორმულო გუნდის, „რედ ბულისა" და „ტორო როსოს" მფლობელია. ამ გუნდებს შორის განსხვავება მხოლოდ ძრავებშია — „უფროს" „წითელ ხარებს" „რენოს" გული აქვთ, ხოლო უმცროსს, იტალიური პასპორტის მქონე „ტორო როსოს" — „ფერარისა".

სწორედ „ტორო როსოს" გაყიდვას აპირებდა მატეშიცი, მაგრამ ბოლო ხანებში სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა — სეზონის მეორე ნახევარში „ტორო როსო" „რედ ბულზე" უკეთეს შედეგებს აჩვენებს და სებასტიან ფეტელმა, სულაც იტალიის დიდი პრიზი მოიგო.



დიტრიხ მატეშიცი

მართალია, ფეტელი მომავალ სეზონში „რედ ბულის" სახელით ირბოლებს, მაგრამ მატეშიცს „ტორო როსო" მაინც აღარ ეთმობა. „შესაძლოა, ყველაფერი ისე დავტოვოთ, როგორც არის. ძალზე ბევრი რამ ახალ წესებსა და რეგლამენტზე იქნება დამოკიდებული. ჩვენ, რა თქმა უნდა, განვიხილავთ დაინტერესებული მყიდველების წინადადებებს, მაგრამ დიდია ალბათობა, რომ აღარ მოვინდომოთ „ტორო როსოს გაყიდვა — ბრძანა ავსტრიელმა და იქვე ფეტელზეც გაამახვილა ყურადღება — ფეტელით პელოტონის ნახევარია დაინტერესებული. ის უნიჭიერესი მრბოლია და ძლიერ, კონკურენტუნარიან მანქანას იმსახურებს. სწორედ ამიტომ, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რათა გაისად „რედ ბული" ძლიერი იყოს და სებასტიანმა თავი კომფორტულად იგრძნოს".

ქახა ლომაძე



სებასტიენ ლოები

# კატალონიაც ლოებისაა

**სებასტიენ ლოები** კრეისერული სიჩქარით მიიწევს ზედიზედ მეხუთე საჩემპიონო ტიტულისკენ. კლასიკურ რალიში წლევანდელი მსოფლიო პირველობის დასრულებამდე სამი ეტაპიღაა დარჩენილი და ფრანგი დიდოსტატი გენერალურ კლასიფიკაციაში უკვე 12 ქულას უგებს უახლოეს მდევარს, ფინელ მიკო ჰირვონენს.

კვირას კატალონიაში, ბარსელონას სიახლოვეს სეზონის მე-12 შეჯიბრი, ესპანეთის რალი დასრულდა და ლოებმა თავისი „სიტროენით" მიჯრით მეოთხე, წლეულს მეცხრე, ხოლო კარიერაში 45-ე გამარჯვება მოიპოვა.

წლევანდელი 12 ეტაპიდან ლოებმა 9 მოიგო და ამ ფონზე გასაკვირი უფრო ისაა, მხოლოდ ორი ეტაპის გამარჯვებული ჰირვონენი ჯერაც რომ ინარჩუნებს საჩემპიონო შანსს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ლოები ორჯერ საერთოდ უქულოდ დარჩა, ხოლო ფინელი ზესტაბილურია და თითქმის ყველა რბოლას პოდიუმზე ამთავრებს.

ამჯერადაც ასე მოხდა — მიკო თავისი „ფორდით" მესამე იყო, თუმც ეს, როგორც მისთვის, ისე მთლიანად „ფორდის" გუნდისთვის ნაკლებად სანუგეშო გახლდათ, რადგანაც ლოების გარდა ჰირვონენს „სიტროენის" მეორე მძღოლმა, ესპანელმა დანი სორდომაც აჯობა და შედეგად, გუნდურ ჩათვლაში ფრანგული „სიტროენი" უკვე 27 ქულით ჯაბნის ამერიკულ „ფორდს".

კატალონიურ ასფალტზე ლოებს ბადალი, უკვე მეოთხე წელია არ ჰყავს. ზოგადად, ასფალტიან გზებზე ფრანგი პრაქტიკულად დაუმარცხებელია და ამ ჯერზეც, სებმა არანაირი შანსი არ დაუტოვა კონკურენტებს — პირველი ცხრა სპეც-მონაკვეთი მოიგო და ამის შემდეგლა დააგდო მცირედით ტემპი. სულ, 18 დოპიდან, ლოები თერთმეტში იყო საუკეთესო, ოთხჯერ ჰირვონენმა აჩვენა უსწრაფესი შედეგი, ორჯერ — ბელგიელმა ფრანსუა დიუვალმა და ერთხელ — სორდომ.

სეზონის დასრულებამდე, როგორც ვთქვით, სამი ეტაპიღა დარჩა, რომელთაგან უახლოესი, კორსიკის, იგივე საფრანგეთის რალი, უკვე 10-12 ოქტომბერს გაიმართება.

ბოლოს კი რამდენიმე სიტყვა ესპანეთის რალის ისტორიის შესახებ. კატალონიური შეჯიბრი მსოფლიოს ჩემპიონატების პროგრამაში პირველად 1991 წელს შეიტანეს და მაშინ გერმანელმა არმინ შვარცმა იმარჯვა. მომდევნო წელს ესპანელთა ჯილა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი კარლოს საინსი იყო საუკეთესო, რომელმაც თავისი მიღწევა 1995 წელსაც გაიმეორა, „მატადორის" ორ გამარჯვებას შორის კი 1993 წელს ფრანგი ფრანსუა დელაკუა იყო საუკეთესო (1994 წელს ესპანეთის რალი არ გამართულა). საინსის დარად, კატალონიაში ორ-ორი გამარჯვება აქვთ მოპოვებული შოტლანდიელ კოლინ მაკრეის (1996, 2000) და ფრანგებს, დიდიე ორიოლსა (1998, 2001) და ჟილ პანიზის (2002-03). 1997 წელს ესპანური რბოლა ოთხგზის ჩემპიონმა ფინელმა ტომი მაკინენმა მოიგო, 1999 წელს — ფრანგმა ფილიპ ბუგალსკიმ, 2004 წელს ესტონელი მარკო მარტინი იყო საუკეთესო და მერე კი ლოების ეპოქა დაიწყო.

ქახა ლომაძე

## მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში

XII ეტაპი. ესპანეთის რალი. ბარსელონა. 2-5 ოქტომბერი

### რბოლის შედეგები

| | |
|---|---|
| 1. სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი") | 3 სთ 21 წთ 17,4 წმ |
| 2. დანიელ სორდო (ესპანეთი, „სიტროენი") | +24,9 წმ |
| 3. მიკო ჰირვონენი (ფინეთი, „ფორდი") | +37,6 |
| 4. ფრანსუა დიუვალი (ბელგია, „ფორდი") | +45,9 |
| 5. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, „სუბარუ") | +3.37,4 |
| 6. იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, „ფორდი") | +4.03,8 |
| 7. კრის ატკინსონი (ავსტრალია, „სუბარუ") | +4.04,9 |
| 8. ანდრეას მიკელსენი (ნორვეგია, „ფორდი") | +5.18,6 |

### საერთო ჩათვლა

1. ლოები 96 ქულა; 2. ჰირვონენი 84; 3. სორდო 59; 4. ატკინსონი 42; 5. ლატვალა 37; 6. პ. სოლბერგი 36; 7. ჰენინგ სოლბერგი (ნორვეგია, „ფორდ-მუნჩი") 22; 8. ჯიჯი გალი (იტალია, „ფორდ-სტობარტი") 17; 9. დიუვალი 16; 10. მეტიუ უილსონი (ბრიტანეთი, „ფორდ-სტობარტი") 12

### კონსტრუქტორთა თასი

1. სიტროენი 159 ქულა; 2. ფორდი 132; 3. სუბარუ 80; 4. ფორდ-სტობარტი 55; 5. ფორდ-მუნჩი 22; 6. სუძუკი 20

## ჩემპიონთა ლიგა. კაცები

### ჯგუფური ეტაპი. პირველი ტური

A ჯგუფი

შამბერი (საფრანგეთი) 37:30 პივოვარნა (სლოვენია)

ჰამარბი (შვედეთი) 31:27 გრანიტასი (ლიტვა)

B ჯგუფი

სარაევო (ბოსნია) 34:22 დოუქსი (საბერძნეთი)

სვენდბორგი (დანია) 24:34 სიუდადრეალი (ესპანეთი)

C ჯგუფი

კილი (გერმანია) 37:29 მეტალურგი (მაკედონია)

დრამენი (ნორვეგია) 24:29 ბარსელონა (ესპანეთი)

D ჯგუფი

ჰამბურგი (გერმანია) 32:20 პრესოვი (სლოვაკეთი)

ჰანდბოლდი (დანია) 34:25 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)

E ჯგუფი

პორტლენდი (ესპანეთი) 38:30 სტიაუა (რუმინეთი)

ჩეხოვსკი მედვედი (რუსეთი) 35:28 კოპერი (სლოვენია)

F ჯგუფი

ვეზპრემი (უნგრეთი) 29:28 ფლენსბურგი (გერმანია)

ჰოუკერი (ისლანდია) 26:25 ზაპოროჟიე (უკრაინა)

G ჯგუფი

ციურიხი (შვეიცარია) 35:25 ბრემენცი (ავსტრია)

ადემარრეალი (ესპანეთი) 25:21 მონპელიე (საფრანგეთი)

H ჯგუფი

ვისლა (პოლონეთი) 16:26 პიკი (უნგრეთი)

ოსიგურანწე (ხორვატია) 33:33 რაინ-ნეიკერი (გერმანია)



ტორსტენ ლუნზმა შვიდი გოლი გაიტანა

# ჩემპიონმა ჩემპიონურად დაიწყო

## ხელბურთელებმა ლიგა გაახურეს

**ხელბურთელთა** ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გამარჯვებული ესპანური „სიუდად რეალი“ გახდა დრამატული, უკომპრომისო და თვალსასეირო ორმატჩიანი პლეიოფის შემდეგ. ესპანელებმა მთელი ხელბურთის სამყარო გააოცეს, როდესაც შინ წაგებული თამაშის შემდეგ გერმანული „კილი“ ბუნდესლიგისა და მსოფლიოს ფლაგმანი, მისსავე მოედანზე, გადაჭედილი ტრიბუნების თვალწინ ამოაყირავეს და თასი ცხვირწინ აართვეს.

ახლანდელი საჩემპიონო ლიგის დაპირისპირებები არანაკლებ საინტერესო უნდა გამოვიდეს. ჩვენთვის ლიგის ეს გათამაშება კიდევ უფრო მიმზიდველია, რადგან იქ ქართველი რევაზ ჭანტურიას „მეტალურგი“ გამოდის. მისი გუნდი კი სიკვდილის ჯგუფში სწორედ „კილთან“ და „ბარსელონასთან“ ერთადაა.

ხელბურთელებმა გასულ უქმეებზე ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის მატჩები მოილიეს. მოქმედმა ჩემპიონმა „სიუდად რეალმა“ სტუმრად ზედმეტი ნერვიულობის გარეშე მოუგო დანიურ „სვენბორგს“ 34:24.

ჩემპიონებიდან 7 გოლით ლუნი, ხოლო 6-ით სტეფანსონი გამოირჩნენ.

აქვე გეტყვით, რომ 32 გუნდი ქმნის 8 ჯგუფს და მათგან ორი საუკეთესო მომდევნო ეტაპზე გავა, სადაც 4 ჯგუფს დააკომპლექტებს. აქედან უკვე მეოთხედფინალში 8 საუკეთესო გუნდი გავა და საჩემპიონო გზას ორმატჩიანი დუელით ფინალამდე გაუყვება...

**ლექსო მაისურაძე**



## რეგულარული ჩემპიონატი

# ევროპაში რეინჯერსმა იხეირა



მარკუს ნესლუნდი

4 ოქტომბერი

**ტამპა 1:2 რეინჯერსი**

*0:0 0:1 1:1*

0:1 ნესლუნდი (39), 1:1 სენ ლუი (44), 1:2 დუბინსკი (55)

**პიტსბურგი 4:3 ოტავა**

*1:1 1:2 1:0 1:0 (ოვერტაიმში)*

1:0 კენედი (1), 1:1 დონოვანი (10), 2:1 მალკინი (24), 2:2 ჰიტლი (33), 2:3 სპეცა (38), 3:3 სკუდერი (44), 4:3 კენედი (65)

5 ოქტომბერი

**რეინჯერსი 2:1 ტამპა**

*0:1 2:0 0:0*

0:1 პოლი (19), 1:1 რედენი (24), 2:1 გომესი (33)

**ოტავა 3:1 პიტსბურგი**

*0:0 1:0 2:1*

1:0 ჰიტლი (34), 2:0 ჰიტლი (53), 3:0 ვერმეტი (56), 3:1 პოლიგოსკი (60)

**ნჰლ-ის** 91-ე სეზონი გახსნილად შეიძლება გამოცხადდეს, რადგანაც გასულ უქმეებზე რეგულარული ჩემპიონატის ოთხი მატჩი გაიმართა. თუმც, როგორც მოგეხსენებათ, ეს ჩვეულებრივი და რიგითი შეხვედრები არ ყოფილა — ლიგამ შარშანდელი გაიმეორა და საკუთარი პოპულირაზიციის მიზნით სეზონის დაწყება ისევ ევროპაში დაგეგმა. თუმც შარშანდელისგან განსხვავებით, როცა შეხვედრები ლონდონში ჩატარდა, ნჰლმა ამჯერად მატჩების გამართვა ისეთი ქვეყნებში ჩაიფიქრა, სადაც ჰოკეი უფრო მეტად ფასობს და ლამის ეროვნულ სპორტადაც არის აღიარებული. ასეთებად კი ჩეხეთი და შვედეთი მიიჩნიეს და შედეგად, შაბათ-კვირას პრაღაში ურთიერთობები „ტამპამ“ და „რეინჯერსმა“, სტოქჰოლმში კი „ოტავამ“ და „პიტსბურგმა“ ორ-ორჯერ გაარკვიეს.

ოფიციალურად სეზონი სტარტს 9 ოქტომბერს აიღებს და ჩრდილო ამერიკის ყინულოვან მოედნებზეც ცეცხლი სწორედ მაშინ დაინთება.

ევროპაში გამართული მატჩები კი საკმაოდ საინტერესო საცქერი გამოდგა და მაყურებლის უდიდესი ინტერესიც გამოიწვია. ნჰლ-ის გუნდების შეხვედრების, თანაც არა საგამოფენო, არამედ ოფიციალური მატჩების, სანახავად ჰოკეის მოყვარულებმა ევროპის სხვადასხვა კუთხიდან მიაშურეს. გულშემატკივრები ვერც უაზროდ ძვირმა ბილეთებმა შეაშინა და ტრიბუნებიც ყველა შეხვედრაში თითქმის პირთამდე იყო სავსე.

სანამ უშუალოდ შეხვედრების პერიპეტიებზე გადავიდოდეთ, რამდენიმე საერთო დასკვნის გაკეთება არცთუ ურიგო იქნებოდა:

პირველ რიგში, ოთხივე გუნდს ეტყობოდა, რომ ისინი ჯერ ძალიან შორს არიან საუკეთესო ფორმიდან და ჩვეულ დონეზე ასათამაშებლად მინიმუმ ერთ თვემდე დასჭირდებათ. ამ შეხვედრებში ამიტომაც ვერ ვიხილეთ ნჰლ-სთვის დამახასიათებელი უმაღლესი ტემპი, რამაც მაყურებლებს იმედები ოდნავ გაუცრუა. თან აშკარად ჩანდა, რომ არც ერთი გუნდი არ იყო მზად ევროპულ, უფრო ფართო მოედნებზე სათამაშოდ, რის გამოც ჰოკეისტები ხშირად იბნეოდნენ და ცოტა ბრიყვულ შეცდომებსაც უშვებდნენ.

დაბოლოს, ოთხივე მწვრთნელს ბლომად სამუშაო აქვს, რომ მათ თავიანთი ჰოკეისტები გუნდურად აათამაშონ, რადგანაც ამ შეხვედრებში ნაკლებად იყო გააზრებული კომბინაციები და ყინულზე ხშირად ქაოსი უფრო სუფევდა.

თუმც შოუ მაინც შედგა, რადგანაც უმაღლესი დონის ჰოკეისტები თამაშობდნენ და შეიძლება ყველაფერი იდეალურად არ გამოსდიოდათ, მაგრამ მაინც ლამაზი სპექტაკლი აჩვენეს ევროპელ მაყურებელს.

პრაღაში გვარიანად გადასხვაფერებულმა „რეინჯერსმა“ თითქმის მთლიანად შეცვლილ „ტამპას“ ორივე შეხვედრა მოუგო.

პირწმინდად ჩაგდებული შარშანდელი სეზონის შემდეგ ფლორიდულ გუნდში გვარიანი წმენდა ჩატარდა და ძველი გვარდიიდან მხოლოდ ვენსან ლეკავალიე და მარტინ სენ ლუი დარჩნენ. სხვა მხრივ კი „ელვებს“ ფაქტობრივად ახალი შემადგენლობა ჰყავთ. ჰოდა, ამიტომ „ტამპას“ შეუთამაშებლობა ყველაზე მეტად ეტყობოდა და ფლორიდული გუნდის ვარსკვლავები ინდივიდუალურად უფრო ცდილობდნენ ფონს გასვლას. მეტ-ნაკლებად გააზრებულად მხოლოდ იმავე ლეკავალიე-სენ ლუის დუეტი თამაშობდა და „რეინჯერსის“ კართან მომენტებს ძირითადად სწორედ ისინი ქმნიდნენ.

თუმც ძალიან კარგად ითამაშა მანჰეტენელთა კარის დარაჯმა ჰენრიკ ლუნდკვისტმა, რომელმაც არაერთი ურთულესი დარტყმა მოიგერია და თავისი გუნდის წარმატებაში ლომის წილი დაიდო.

გარდა ამისა, „რეინჯერსის“ რიგებში თავი გამოიჩინეს ახალწვეულებმა — განსაკუთრებით ეს მარკუს ნესლუნდს ეხება, რომელმაც სეზონის პირველი შაიბა შეაგდო. კვირას კი შვედმა შედეგიანი გადაცემაც მიითვალა. ასევე კარგად ითამაშა უეიდ რედენმაც, რომლის მოსვლითაც მანჰეტენელთა დაცვამ მეტ-ნაკლებად ნორმალური სახე მიიღო.

უფრო ხალისიანი მატჩები გაიმართა სტოქჰოლმში, სადაც „პიტსბურგმაც“ და „ოტავამაც“ აქცენტი შეტევაზე უფრო გააკეთეს. თანაც აქ მატჩები სულ სხვა სცენარით წარიმართა და გუნდებმა რიგრიგობით მოიგეს.

ამ ორ შეხვედრაში ალბათ საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ წლეულს კანადური გუნდი ძირითადად ერთ სამეულზე — დენი ჰიტლიჯეისონ სპეცა-დანიელ ალფრედსონზე იქნება დამოკიდებული. „სენატორთა“ წინა ხაზის დარჩენილი ნაწილი უბრალოდ, საცოდავად გამოიყურებოდა, რის გამოც „ოტავას“ ამ სეზონში ძალიან გაუჭირდება სერიოზული მიზნებისთვის ბრძოლა.

განსაკუთრებით საქებარი არც „პიტსბურგს“ ჩაუდენია რამე, მაგრამ აქ იმედის ნაპერწკალი მაინც ჭიატებს — როგორც კი სიდნი კროსბი და ევგენი მალკინი ფორმაში შევლენ, გუნდი აუცილებლად მოუმატებს.

შაბათს „პინგვინებმა“ იყოჩაღეს, მატჩის გმირად კი ტაილერ კენერი იქცა — მან ჯერ შეხვედრის მე-40 წამზე გახსნა ანგარიში, შემდეგ ეს არ იკმარა და თავი კიდევ ერთხელ ოვერტაიმში, ბულიტების სერიის დანიშვნამდე 25 წამით ადრე გამოიჩინა და „პიტსბურგს“ სეზონში პირველი მოგებაც დაუბევა.

კვირას უკვე „ოტავას“ ჯერი დადგა. კანადელებს აშკარად წაადგათ ის, რომ კარში შვეიცარიელი მარტინ გერბერის მაგივრად ალექს ოლდი ჩადგა — შეიძლება, ამ ბიჭს სასწაულები არ ჩაუდენია, მაგრამ არც გერბერივით უაზრო შეცდომები დაუშვია. თანაც „სენატორებმა“ მეორე შეხვედრაში აქცენტი ტემპზე გააკეთეს და მეტოქეს შლეგიანივით ეტაკნენ. სეზონის სტარტზე კი ასეთი რიტმის გასაძლებად არც კროსბი აღმოჩნდა მზად და არც მალკინი, ხოლო რადგანაც მათ არ წაუვიდათ თამაში, „პიტსბურგის“ შეტევაც ნულზე დავიდა. „ოტავა“ კი ისევ მთავარმა დამრტყმელმა ძალამ იხსნა — ამჯერად ჰიტლიმ ივარგა, რომელმაც პარტნიორთა მიერ გათამაშებული იდეალური კომბინაციების შემდეგ ორჯერ იხეირა.

„პიტსბურგმა“ ისღა მოახერხა, რომ ოლდს შათაუტი არ გააკეთებინა — მატჩის დასასრულამდე ორი წამით ადრე ალექს გოლიგოსკიმ გაისროლა და სეხნიას ტრიუმფი ოდნავ ჩაუშხამა.

**კახა ლომაშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნარიმანიშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვილი, ლიანა ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge